ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 19 ივლისი 2002 №133 (1655) | ფასი 50 თეთრი


# აჰ, ნეტავი ერთად იყოს თბილისი და პარიზი

## ცუდი ასოციაციები მზენაკრავ ქალაქში



თერმომეტრის სვეტი აღმასვლით ჯერ კიდევ ვერ დაიღალა და ნელ-ნელა სუნთქვა გაჭირდა თბილისქალაქსა და დანარჩენ საქართველოში. საბედნიეროდ, ევროპას მზისდაკვრის მაჩვენებლითაც ჩამოვრჩებით (იქ სიცხემ რამდენიმე კაცი მოკლა), მაგრამ აგერ, ქუთაისში კი შეგვიწუხა ერთი სტუმარი, რომელიც რიონისპირას მოვალეობის გრძნობამ ჩამოიყვანა: კომისრად განწესეს „ტორპედოს" და ფარეხული B 36-ის თამაშზე, სადაც ზედ პოსტზე დგომისას სიცხით იმერულმა მზემ თავარა სხივები, მაგრამ მოსაკვდინებლად ვერ გაიმეტა.

ხოლო თბილისი ჩალხისგან ნელ-ნელა და დროებით კი იწრიტება, მაგრამ დარჩენილები გამოყოფენ დიდ ენერგიას და დედაქალაქის ტემპერატურა მაღალ დონეზეა პირდაპირი და ირიბი გაგებითაც. კერძოდ, მოდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები, იქამდე კი 22 ივლისის სასამართლო განხილვაა ორი მოქიშპე მხარის: მერაბ ჟორდანიასა და დავით პეტრიაშვილის გუნდების მონაწილეობით. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თავისი ტრიუმფისთვის საგანგებო კომიტეტის სამეულის (ფუი, ეშმაკს, ვერ აღძრავს სასიამოვნო ასოციაციებს) სხვა წევრებთან (ალექსანდრე ჩივაძე, ვალერი ჩოლარია) ერთად საკუთარი მორყეული პოზიციების გამყარებას და მეტოქის ბანკის მორყევას ცდილობს 10 ათას ლარიანი ჯარიმებითა და სხვა მეთოდებით, ოღონდ ჯერ უშედეგოდ. პეტრიაშვილს ზურგიანი კაცის შეხედულება აქვს და მისხალსაც ძვირად უტოვებს ვინმეს. გუშინ მისიანებმა (ანუ თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ) მორიგი კონფერენცია მოაწყვეს და იმ 10 ათასის გადახდაზე ერთხელაც კატეგორიული უარი განაცხადეს. მალე კიდევ უფრო დაცხება.

# დამალული არაფერია, როჟეს გარდა

დღეს საფრანგეთის ნაკრების ახალ მწვრთნელს დანიშნავენ. ფრანგთათვის ეს, დიახაც, მნიშვნელოვანი ამბავია, ზოგადად ქომაგისთვის, უბრალოდ საინტერესო, ვისთვის კი ეგებ მაგალითი იყოს, თუ როგორ უნდა მიუდგე ამგვარ საპასუხისმგებლო საქმეს.

მთავარი, ალბათ, ის არის, რომ დამალული არაფერია, რაკილა გასაიდუმლოება უეჭველად იწვევს უსიამოვნო ეჭვს, მით უფრო მაშინ, როცა დამალვის საბაბი თითქოს არც არსებობს.

რაც ფრანგთა გუნდი მუნდიალიდან ხელცარიელი დაბრუნდა და როჟე ლემერის შეცვლის საკითხი დადგა, ყველაფერი ხელისგულზეა: მწვრთნელობის კანდიდატები, თავად მათი არგუმენტები საკუთარი კანდიდატურის სასარგებლოდ, ფეხბურთის ჩინოსანთა სიმპათიები.

და კიდევ: თითოეული კანდიდატის არგუმენტი მართლაც არგუმენტია, ხოლო ჩინოსანთა სიმპათია — დასაბუთებული.

ჩვენში ამგვარი რამ არასდროს ყოფილა. არგუმენტები, ალბათ, არსებობდა, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დროულად გაცხადებული არ გვახსოვს. დაუსაბუთებლად საიდუმლო გრიფის დადება კი, როგორც აღვნიშნეთ, დასაბუთებულ ეჭვს იწვევს.

დღეიდან ფრანგებს ახალი მწვრთნელი ეყოლებათ. მან შეიძლება, ვერაფერი მოიგოს, მაგრამ ფედერაციასაც ვერავინ წამოაძახებს, რატომ დანიშნეთო — ოთხი პრეტენდენტიდან რომელიც გინდათ დანიშნონ, დასაბუთებული დანიშვნა იქნება. ვფიქრობთ, ამგვარად მუშაობა უფრო იოლიცაა და პასუხისმგებლობასაც უფრო თამამად აიღებს კაცი საკუთარ თავზე.

მხოლოდ მწვრთნელის დანიშვნა-მოხსნაზე არ მოგახსენებთ, ზოგადად მუშაობის სტილს ვგულისხმობთ.



REUTERS

როჟე ლემერს ქვეყნის რცხვენია

# ფედერაციამ პეტრიაშვილისთვის დაგვსაჯა
## კოკაია 10 ათასს არ მიიტანს



ავთანდილ კოკაია (მარცხნივ) და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო კომიტეტისგან პასუხს ელის

**გუშინ** თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის რიგგარეშე კონფერენცია გაიმართა. დედაქალაქის ფეხბურთის მესვეურებს განსახილველი ერთადერთი საკითხი ჰქონდათ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტის მიერ 9 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება. შეგახსენებთ — მერაბ ჟორდანია-ვალერი ჩოლარია-ალექსანდრე ჩივაძის სამეულმა თბილისის ფეხბურთის ფედერაცია, თბილისის „დინამო" და ზესტაფონის „მეტალურგი" 10-10 ათასი ლარით დააჯარიმა და ამ თანხის გადასახდელად ორკვირიანი ვადა მისცა.

ეს რიგგარეშე სხდომაც სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა, თუმც შეკრებილები სხვა თემებსაც გადასწვდნენ. კონფერენცია თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ კოკაიამ გახსნა, რის შემდეგაც სიტყვა ვიცე-პრეზიდენტ ***არჩილ კობალავას*** გადასცა:

— ჩვენი შეკრება მიზნად არ ისახავს ვინმეს იძულებას და მოთაფვლას. ყველას აქვს უფლება, ხმა მისცეს იმას, ვისაც ენდობა. უბრალოდ, ჩვენ საკუთარი პოზიცია გაგვაჩნია და ვაპირებთ, ჩვენივე უფლებები დავიცვათ.

–საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, მოგეხსენებათ, 10 ათასი ლარით დაგვაჯარიმა, მაგრამ ამის ნამდვილ მიზეზებს ვერავინ ასახელებს. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ამ საქმეში სუფთაა, ისევე როგორც საფეხბურთო კლუბები — „დინამო" და „მეტალურგი", ამიტომ ამ თანხას არ გადავიხდით.

–ყველაფერს თავის საზღვარი აქვს. ბევრი ვითმინეთ სფფ-ს შემოტევები და ლანძღვა-გინება, მაგრამ მეტი აღარ შეგვიძლია. რამ გამოიწვია „ტროიკის" გაღიზიანება? ამას ორად ორი პასუხი აქვს: 1. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის, დავით პეტრიაშვილის წარდგენა. 2. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში განცხადების და არა საჩივრის შეტანა ვლადიმერ გოგიაშვილის აღმასკომში შეყვანის თაობაზე.

დავით პეტრიაშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად წარდგენა ჩვენი უფლება იყო. გასაგები მიზეზების გამო ამას ვერ შეეგუა სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, რასაც ჩვენი მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებების კასკადი მოჰყვა. არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ავთანდილ კოკაია გალანძღონ. მას ქართული ფეხბურთისთვის ბევრი სიკეთე გაუკეთებია. ახლა კი პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას უპირებენ. ეს სასაცილოა. ის მაინც გაიხსენონ, რომ ავთანდილ კოკაია ღირსების ორდენის კავალერია.

ისე, ძალიან მაინტერესებს, მერაბ ჟორდანიას კანდიდატურა რომ წარგვედგინა, მაშინაც ასე გაგვლანძღავდნენ? ცხადია, არა. ამხელა ამბავი დავით პეტრიაშვილის გამოა ატეხილი. თუმც უკან დახევას არ ვაპირებთ. თუ დაგვჭირდა, სიმართლის დასადგენად ფიფა-უეფასაც მივმართავთ.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს უბრალო განცხადებით მივმართეთ. ეს არ იყო საჩივარი. ასე რომ, კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაგვიდენია. „ტროიკამ" ყოვლად უსაფუძვლო გადაწყვეტილება მიიღო. ამიტომ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ჯარიმას არ გადაიხდის. ეს დაუმორჩილებლობა არაა. ჩვენ მხოლოდ სიმართლის მომხრე ვართ...

– ბოლო ხანს სფფ ღიად აცხადებს, რომ ამ შენობაში არაფერი გვესაქმება. აქამდე სად იყვნენ? მართალია, ეს შენობა ფედერაციის ბალანსზეა, მაგრამ ჩვენც ხომ ფედერაციის სუბიექტი ვართ? სამწუხაროდ, ის აზრი, რომ თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ამ შენობაში არ უნდა იყოს, მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც დავით პეტრიაშვილს დავუჭირეთ მხარი. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია სფფ-ს ოფიციალურად სთხოვს, 23 ივლისამდე გვაცნობონ, გვაქვს თუ არა ამ შენობაში ყოფნის უფლება, თუ არა გვაქვს, ისიც გაგვაგებინონ, რა არის ამის მიზეზი. ამის შემდეგ ჩვენც ადექვატურად ვიმოქმედებთ. ასევე მოვითხოვთ, 23 ივლისამდე შეგვატყობინონ, სად შეიძლება ჯარიმის გასაჩივრება. გვითხრან და ჩვენც პასუხის მიხედვით მოვიქცევით.

ამის შემდეგ საკუთარი პოზიცია სხვებმაც დააფიქსირეს. ჩვენ რამდენიმე მათგანის ნაუბარს გაგაცნობთ:

***კახა ჭუმბურიძე*** *დავით პეტრიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი:*

— ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ავთანდილ კოკაიას ემუქრებიან, ისაა, რომ ის მხარს უჭერს დავით პეტრიაშვილს. სხვა პასუხი ამ შეკითხვაზე არ არსებობს. პირობას ვიძლევით, რომ ყველა ჩვენს მხარდამჭერს ბოლომდე გვერდით დავუდგებით. იმედი მაქვს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას სხვა რეგიონული ფედერაციებიც მიბაძავენ. დამერწმუნეთ ფედერაციის ასეთი მოქმედება მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდება, მერე კი სფფ-ს პრეზიდენტი დავით პეტრიაშვილი იქნება და...

***დურმიშხან ცინცაძე*** *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი:*

— ნოდარ ახალკაცი ჩემი მეგობარი იყო. დავით პეტრიაშვილი კი მისი გაზრდილია. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა მან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, მაგრამ მას დიდი სიფრთხილე მართებს. სფფ-ს კი არა, საპარლამენტო არჩევნებს აყალბებენ. ამიტომ ყველაფერი კარგად უნდა გავთვალოთ.

ადრე ერთ-ერთ დელეგატს ვკითხე, რამდენი გადაუხადეს, ხმა რომ მისცა. 500 დოლარიო, მიპასუხა. გავიკვირვე, ამ თანხაზე როგორ გაიყიდე-მეთქი. აბა, ზამთარში შეშის ფული არ მქონდაო. ეს მაგალითი სერიოზული დაფიქრების საგნად უნდა იქცეს. დღეს ფული ყველაფერს აკეთებს.

ამას მუშტაიდის გულშემატკივართა კლუბის თავკაც ვაჟა კიქნაძის ემოციური გამოსვლა მოჰყვა, რომელმაც სფფ-ს დღევანდელი ხელმძღვანელობის კრიტიკაში ჩაიარა და ისიც თქვა, ხელმოწერებს ვაგროვებ და 300 კაციდან ჟორდანიას მხოლოდ ერთმა დაუჭირა მხარი, სამი ვაჟა ჩხაიძეს ენდობა, დანარჩენი კი პეტრიაშვილის მხარდამჭერიაო.

მოგვიანებით ოჩამჩირის „ამირანის" პრეზიდენტმა ***ენვერ თოლორდავამაც*** თქვა თავისი:

— ახლახან გავიგე, რომ მომავალ სეზონში სფფ-ს გადაწყვეტილებით რეგიონული ლიგის ცენტრალურ ზონას აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ჩაატარებს. თავისთავად ეს ფაქტი ძალიან მესიამოვნა, მაგრამ მერე დავფიქრდი და... სად იყო სფფ-ს ხელმძღვანელობა აქამდე? ჩემი აზრით, ეს ისევ და ისევ თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან დაპირისპირების ბრალია. ასეთ რამეებზე არ უნდა წამოვეგოთ.

ენვერ თოლორდავას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, იქვე მყოფი ბუბა ტყავაძე რომ გაეხუმრა, ამდენს ნუ ლაპარაკობთ, თორემ თქვენც პერსონა ნონ გრატად გამოგაცხადებენო. რაზეც ენვერ თოლორდავამ წამსვე უპასუხა, მე არძინბამ უკვე გამომაცხადა პერსონა ნონ გრანტადო...

ბოლოს კი სიტყვა ***აკა ქავთარაძემ*** *(ვაჟა ჩხაიძის საარჩევნო შტაბის ვიცე-თავმჯდომარე)* ითხოვა:

— კარგი იქნება, თუ რეგიონული ლიგის კლუბების განცხადებებს შევაგროვებთ. ეს კლუბები ფედერაციის სუბიექტები არიან და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეკუთვნით. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ვფიქრობ, ფიფა-უეფას შეწუხებაც არ იქნება ურიგო.

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები და აღმასკომის წევრები აკა ქავთარაძეს დაეთანხმნენ. ასე რომ, წინაასარჩევნო ციებ-ცხელება კიდევ უფრო მძაფრდება.

**კახა ზალამბერიძე**

**ფინეთი**
გადადებული მატჩი
ჰაკა 1:1 ჰაპინლინა

**შვედეთი**
თასის მეოთხედფინალი
აიკ 2:0 ჰამარბი
მალმიო 4:2 ორგრიტე

საქართველოს ჩემპიონატი / პირველი ლიგა / პირველი ეტაპი — 14 — **კალენდარი**

## პირველი წრე

**პირველი ტური**
30 აგვისტო, პარასკევი
ცხინვალი — მცხეთა
დინამო-2 — ლოკომოტივი-2
31 აგვისტო, შაბათი
ჭაბუკთა ნაკრები — ივერია
სამგურალი — მერცხალი
ლაზიკა — ქობულეთი
თსუ — კოლხეთი
*გურია ისვენებს*

**მეორე ტური**
5 სექტემბერი, ხუთშაბათი
მცხეთა — თსუ
ქობულეთი — ცხინვალი
ლოკომოტივი-2 — სამგურალი
ივერია — დინამო-2
6 სექტემბერი, პარასკევი
მერცხალი — ლაზიკა
გურია — ჭაბუკთა ნაკრები
*კოლხეთი ისვენებს*

**მესამე ტური**
12 სექტემბერი, ხუთშაბათი
სამგურალი — ივერია
ცხინვალი — მერცხალი
თსუ — ქობულეთი
კოლხეთი — მცხეთა
13 სექტემბერი, პარასკევი
დინამო-2 — გურია
ლაზიკა — ლოკომოტივი-2
*ჭაბუკთა ნაკრები ისვენებს*

**მეოთხე ტური**
20 სექტემბერი, პარასკევი
ქობულეთი — კოლხეთი
ივერია — ლაზიკა
გურია — სამგურალი
21 სექტემბერი, შაბათი
მერცხალი — თსუ
ლოკომოტივი-2 — ცხინვალი
ჭაბუკთა ნაკრები — დინამო-2
*მცხეთა ისვენებს*

**მეხუთე ტური**
27 სექტემბერი, პარასკევი
თსუ — ლოკომოტივი-2
28 სექტემბერი, შაბათი
სამგურალი — ჭაბუკთა ნაკრები
კოლხეთი — მერცხალი
29 სექტემბერი, კვირა
ლაზიკა — გურია
ცხინვალი — ივერია
მცხეთა — ქობულეთი
*დინამო-2 ისვენებს*

**მეექვსე ტური**
4 ოქტომბერი, პარასკევი
მერცხალი — მცხეთა
გურია — ცხინვალი
5 ოქტომბერი, შაბათი
ივერია — თსუ
ჭაბუკთა ნაკრები — ლაზიკა
ლოკომოტივი-2 — კოლხეთი
დინამო-2 — სამგურალი
*ქობულეთი ისვენებს*

**მეშვიდე ტური**
13 ოქტომბერი, კვირა
ცხინვალი — ჭაბუკთა ნაკრები
თსუ — გურია
კოლხეთი — ივერია
ქობულეთი — მერცხალი
14 ოქტომბერი, ორშაბათი
ლაზიკა — დინამო-2
მცხეთა — ლოკომოტივი-2
*სამგურალი ისვენებს*

**მერვე ტური**
18 ოქტომბერი, პარასკევი
ჭაბუკთა ნაკრები — თსუ
დინამო-2 — ცხინვალი
ლოკომოტივი-2 — ქობულეთი
19 ოქტომბერი, შაბათი
ივერია — მცხეთა
გურია — კოლხეთი
სამგურალი — ლაზიკა
*მერცხალი ისვენებს*

**მეცხრე ტური**
27 ოქტომბერი, კვირა
ქობულეთი — ივერია
28 ოქტომბერი, ორშაბათი
ცხინვალი — სამგურალი
მცხეთა — გურია
29 ოქტომბერი, სამშაბათი
თსუ — დინამო-2
კოლხეთი — ჭაბუკთანაკრები
მერცხალი — ლოკომოტივი-2
*ლაზიკა ისვენებს*

**მეათე ტური**
3 ნოემბერი, კვირა
ივერია — მერცხალი
გურია — ქობულეთი
დინამო-2 — კოლხეთი
სამგურალი — თსუ
ლაზიკა — ცხინვალი
4 ნოემბერი, ორშაბათი
ჭაბუკთა ნაკრები — მცხეთა
*ლოკომოტივი-2 ისვენებს*

**მეთერთმეტე ტური**
9 ნოემბერი, შაბათი
თსუ — ლაზიკა
10 ნოემბერი, კვირა
მერცხალი — გურია
კოლხეთი — სამგურალი
11 ნოემბერი, ორშაბათი
მცხეთა — დინამო-2
ქობულეთი — ჭაბუკთანაკრები
ლოკომოტივი-2 — ივერია
*ცხინვალი ისვენებს*

**მეთორმეტე ტური**
17 ნოემბერი, კვირა
სამგურალი — მცხეთა
ლაზიკა — კოლხეთი
ცხინვალი — თსუ
18 ნოემბერი, ორშაბათი
გურია — ლოკომოტივი-2
ჭაბუკთა ნაკრები — მერცხალი
დინამო-2 — ქობულეთი
*ივერია ისვენებს*

**მეცამეტე ტური**
24 ნოემბერი, კვირა
კოლხეთი — ცხინვალი
მცხეთა — ლაზიკა
ქობულეთი — სამგურალი
ივერია — გურია
მერცხალი — დინამო-2
ლოკომოტივი-2 — ჭაბუკთანაკრები
*თსუ ისვენებს*

**სათასო მატჩები გაზაფხულზე. ჩემპიონატის განახლებისთანავე ჩატარდება**


იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ა, შეხედე აფხაზავას!
## დემეტრაძის ოსური


გიორგი დემეტრაძემ მესამე ალანიური მიითვალა

ოთხშაბათს უკრაინის ჩემპიონატის დებიუტანტ „ვოლინის“ წინააღმდეგ, კიევის „არსენალის“ ძირითადში პირველად გამოჩნდა 21 წლის ბათუმელი შემტევი შალვა აფხაზავა. გამოჩნდა და მერე როგორ, ჰეთ თრიქით გამოირჩა... სამი გოლი ხუმრობა არ გახლავთ და ალბათ კიევში ახალჩასული აფხაზავა გუნდში თავის ადგილსაც დაიმკვიდრებს. თუ რატომ არის აფხაზავასა და „არსენალის“ თემა საინტერესო, ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი წინა ტურის შეხვედრა გავიხსენოთ, რომელიც ქართველისთვის სადებიუტო გამოდგა.

კიევურ დერბიში „არსენალი“ „დინამოსთან“ 1:3 დამარცხდა. მთავარი ამბები ბოლო ოც წუთში მოხდა, ოთხივე გოლიც დროის ამ მონაკვეთში გავიდა. მანამდე არმიელები მედგრად იდგნენ და თამაშის ორგანიზაციით სახელიან თანაქალაქელებს სჯობდნენ კიდეც, მაგრამ ჭაბუკი რუმინელი ფლორინ ჩერნატის მინდორზე გამოჩენამ დინამოელთა თამაში ერთი-ორად გაამწვავა. აფხაზავამ ბოლო 13 წუთი ითამაშა სერგეი ბილოზორის ნაცვლად. ეს ბათუმელის პირველი მატჩი გახლდათ კიევურ კლუბში.

„არსენალის“ შესახებ უკრაინაში დღეს ბევრს ლაპარაკობენ და მათგან სიურპრიზსაც ელიან. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გუნდის მწვრთნელად მოსკოვის „სპარტაკში“ ოლეგ რომანცევის ყოფილი თანაშემწე, ვიაჩესლავ გროზნი დანიშნეს, ხოლო ქალაქის მერიამ ფეხბურთელების შესაძენად 6 მილიონი დოლარი გამოუყო („არსენალი“ მუნიციპალიტეტის გუნდი გახლავთ). შედეგად „არსენალში“ „ვორსკლას“, „კარპატისა“ და „ზაკარპატიას“ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე გადავიდა, თუმცა გროზნის ჯერ ამ თანხის ნახევარიც არ დაუხარჯავს, საზაფხულო მიდი-მოდის დამთავრებამდე კი ორი კვირა კიდევ დარჩა. ამიტომ უკრაინელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს დღეებში კვლავაც მოსალოდნელია გუნდის რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელით გაძლიერება. დღეისთვის კი საუკეთესო ახალწვეული 19 წლის სწრაფი ნიგერიელი ოსეი ემანუელ ოკოდუვა ყოფილა, ვისაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მოკლედ, აფხაზავა პერსპექტიულ და ამბიციურ კლუბში მოხვდა. სადღეისო მე-7 ადგილზე კი, ალბათ, ყურადღების გამახვილება არ ღირს. ჯერ ერთი, ჩემპიონატი სამი ტურია რაც დაიწყო და მეორეც, არმიელებს სტარტზევე უძლიერესი მოწინააღმდეგეები ჰყავდათ, ჯერ ჩემპიონი „შახტარი“, მერე ვიცე-ჩემპიონი „დინამო“. გროზნიმ კი თანაქალაქელებთან მატჩის შემდეგ ეს თქვა: „შედეგით უკმაყოფილო ვარ. დაბადების დღეზე წაგება აბა, რა სასიამოვნოა (12 ივლისს ის 46 წლისა გახდა), მაგრამ დინამოელებმა გამოცდილებით გვაჯობეს. ბიჭებთან პრეტენზია არ მაქვს, ჩვენ ხომ ახლა ვიწყებთ ძლიერი გუნდის შექმნას, ამიტომ დრო და მოთმინება საჭირო.“

„ტავრია“, „არსენალის“ არ იყოს, ჯერ ნევიო სკალას „შახტართან“ სტუმრად 2:5, მერე შინ „დინამოსთან“ 1:2 დამარცხდა. თუმცა ყირიმელებს პატარა გასამართლებელი საბუთი მაინც აქვთ. სიმფეროპოლში ატეხილი ჭექა-ქუხილის გამო ფეხბურთელებს კარგა ხანს ავიაჩარტერის სალონში მოუხდათ ყოფნა და დონეცკს მატჩის წინ ჩაფრინდნენ, თამაშიც დაგეგმილზე 15 წუთით გვიან დაიწყო. სტუმართაგან ერთ-ერთი საუკეთესო ჩვენი ვასო გიგიაძე ყოფილა, მართალია, არ გაუტანია, მაგრამ რამდენჯერმე ფრიად სახიფათოდ შეუტევია. ერთ ეპიზოდში მისი დარტყმული ბურთი ურუგვაელ მცველ როდრიგესს ფეხის წვერით ძლივს მოუგერიებია კუთხურზე. აქაც თამაშის ბედი ბოლოსკენ გადაწყდა, დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში 2:2 იყო, მაგრამ...

„დინამოსთანაც“ ტავრიელთაგან საუკეთესოდ ისევ გიგიაძე აღიარეს. წლეულს შემადგენლობაში პირველად მოხვედრილმა შოთა ჩომახიძემაც გამოიჩინა თავი, შეცვლაზე შესულმა, „დინამოს“ მსაჯის მეორე წამატებულ წუთზე გაუტანა.


შალვა აფხაზავამ უკრაინა ჰეთ თრიქით დაიწყო

რუსეთში კვლავ გამოიჩინა თავი ალანიელმა გიორგი დემეტრაძემ. სარატოვში „სოკოლთან“ მატჩის მე-14 წუთზე ქართველმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად დაარტყა და ორ ალანიურ მატჩში სამი გოლი მოუგროვდა. დღეისთვის საუკეთესო ბომბარდირი, ზენიტელი ალექსანდრ კერჟაკოვი 10 ბურთით იწონებს თავს და თუ დემემ ასე გააგრძელა, ევებ სამი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეოროს, მაშინ ხომ რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე გახდა.

დემეტრაძეს დიდად არც თანაგუნდელი მიხეილ აშვეთია ჩამორჩება. სამ შეხვედრაში მანაც სამჯერ შეძლო მოწინააღმდეგეთა კარის დალაშქვრა. სარატოვშიც უნდა გაეტანა, მაგრამ მასპინძლები მეკარე პლატონ ზახარჩუკის ოსტატურმა თამაშმა გადაარჩინა. „სოკოლმა“ მეორე ტაიმში გაათანაბრა, თუმცა სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე ეს ფრე მაინცდამაინც არცერთს აწყობდა. „ალანია“ კვლავაც ბოლოდან მესამეა და თავი იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ წლეულს სტუმრად პირველი ქულა მოიპოვა.

მოსკოვის „ტორპედოში“ კი ედიკ საჯაიას და დავით ნაკანს მწვრთნელი შეეცვალათ. ვიტალი შევჩენკოს ნაცვლად ოდინდელი ტორპედოელი სერგეი პეტრენკო მივიდა, ვინც ბოლო დროს ამავე კლუბის დუბლშემადგენლობას მოძღვრავდა და ნაკანსაც ხშირად ათამაშებდა.

სამიოდ წლის წინ ტორპედოელმა ბოსებმა სუპერკლუბის ჩამოყალიბება განიზრახეს და შარშან თითქოს შევჩენკოს მუშაობამ ნაყოფიც გამოიღო, გუნდი მოწინავეთა რიგში ჩადგა და შემდგომ ამაღლებასაც ელოდნენ, მაგრამ სეზონის წინ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის წასვლა უკვე ცუდი ნიშანი იყო. ნელ-ნელა რაღაც მოიშალა და შედეგად „ტორპედო“ გასავარდნთა შორის აღმოჩნდა. ზაფხული ხომ მთლად საშინელი გამოუვიდათ, ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს და შევჩენკოც გადადგა: „წასულ ფეხბურთელებს ღირსეული შემცვლელები ვერ მოვუძებნეთ და რა მივიღეთ: უკბილო თავდასხმა და არასტაბილური შუა ხაზი. მეტ-ნაკლებად მცველები თუ ართმევდნენ მოვალეობას თავს. ბოლოდროინდელმა წაგებებმა კი მოთამაშეები ფსიქოლოგიურადაც დათრგუნა. გაძლიერების თაობაზე კარგა ხანია ვლაპარაკობდი, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერი მოვახერხე, ხან ფასზე ვერ თანხმდებოდნენ, ხან კიდევ რაღაც-რაღაცეებზე. კარგი ფეხბურთელები კი ძალიან ცოტაა“ — აი, ასეთ ვითარებაში დაშორდა მწვრთნელი გუნდს. ახლა ჯერი პეტრენკოზეა. ეს გამხდარი, შავულვაშა კაცი ქართველ გულშემატკივრებსაც ეხსომებათ. 70-80-იან წლებში ის „ტორპედოს“ ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი იყო.

ლატვიაში ჩვენებურთა „სკონტომ“ ტური გამოტოვა, რადგან უელსურ „ბარი თაუნთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩისთვის ემზადებოდა. აი, მისმა მთავარმა მეტოქემ, ლიდერმა „ვენტსპილსმა“ კი ლიეპაიაში „მეტალურგსთან“ ორი ქულა დაკარგა.

უმნიშვნელოვანესი თამაში იყო აუტსაიდერთა შორისაც, რომელშიც თამაზ პერტიას „რიგამ“ უშუალო კონკურენტ „დაუგავასთან“ 1:6 წააგო და უმაღლეს ლიგაში დარჩენა კიდევ უფრო სათუო გაიხადა. ჩვენი ლატვიელი კოლეგების ცნობით, შესვენებაზე, როცა ანგარიში 2:1 გახლდათ, მწვრთნელმა ვიქტორ ნესტერენკომ აქტიურად მოთამაშე პერტია რატომღაც ბაბიჩევით შეცვალა, რის შემდეგაც რიგელთა თამაში მთლად მოიშალა და, აკი შერცხვნენ კიდეც.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ზალცბურგი 2:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | გრასჰოპერი 2:3 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | სოკოლი 1:1 | 90 | 1 გოლი პენ. | 2 | 3 | 14 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | სოკოლი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 10 | 2 | 14 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | სოკოლი 1:1 | 90 | | 3 | 3 | 14 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | დინამო 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | ტორპედო 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ანჟი 1:4 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | როსტსელმაში 4:1 | 75 | შეცვალეს | 13 | 1 | 11 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | ლოკომოტივი 2:2 | 0 | | 9 | 0 | 12 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ლოკომოტივი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | შახტარი 2:5 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 14 |
| | ტავრია | შ | დინამო 1:2 | 51 | გააფრთხილეს,შეცვალეს | 3 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | შახტარი 2:5 | 90 | | 2 | 1 | 14 |
| | ტავრია | შ | დინამო 1:2 | 90 | | 3 | 1 | 15 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | შახტარი 2:5 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 14 |
| | ტავრია | შ | დინამო 1:2 | 25 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 1 | 1 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | ს | კარპატი 0:1 | 81 | შეცვალეს | 2 | 0 | 10 |
| | მ. ზაპოროჟია | შ | შახტარი 0:1 | 90 | | 3 | 0 | 13 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | დინამო 1:3 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 12 |
| | არსენალი | შ | ვოლინი 8:1 | 60 | 3 გოლი, შეცვალეს | 2 | 3 | 7 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 14 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 13 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 15 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | დაუგავა 1:6 | 45 | შეცვალეს | 14 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



*ორმოცი დღე გასულა თორნიკე რუხაძის ტრაგიკული გარდაცვალებიდან. დრო სწრაფად გარბის და ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგონებთ თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელს.*

*თორნიკე რუხაძე ფეხბურთელის ოჯახში გაიზარდა და სამომავლო გზადაც ფეხბურთი აირჩია, მაგრამ ცხოვრებამ სხვაგვარად განსაჯა. ახალგაზრდა კაცი მოაკლდა ოჯახს, მეგობრებსა და უბრალოდ ნაცნობებსაც კი. თოკო რუხაძე გულლია, ალალი ბიჭი იყო. ვახსენოთ მისი შეჩერებული სიცოცხლე და ვთქვათ შესანდობარი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა მალხაზ ასათიანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი ძალა. 21 წლის ნიჭიერმა ნახევარმცველმა ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ფარერულ „B36 ტორსჰავენთანაც" ჩვეულად კარგად ითამაშა და გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მალხაზ ასათიანმა ორი გოლითაც გამოიჩინა თავი და ქუთაისში დასაზვერად ჩასულ პრაღის „სპარტას" მთავარი მწვრთნელის ასისტენტს, ზდენეკ პროჰაზკას ათქმევინა, დიდი შესაძლებლობების ფეხბურთელიაო.*

*მართალია, ფარერულ კლუბთან კარგი თამაშით ძნელია ფეხბურთელის ავკარგიანობაზე ლაპარაკი, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერ მალხაზ ასათიანის ნიჭიერებაში ბევრიც ვერ შეგვედავება. ნიჭს კი გამოყენება უნდა. სწორედ ამას აპირებს ასათიანი ჩეხურ „სპარტასთან" და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას ოცნებობს*

# ასათიანს სასწაულის არ სჯერა

## ტორპედოს დიდავა მიეცით და სპარტას პოზორსკი ჰყავდესო

— მეტოქე 5:2 დავამარცხეთ და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, შემდეგ ეტაპზე რომ ვერ გავიდეთ. ამის წარმოდგენაც კი არ შემიძლია.

**— მეორე ტაიმში „ტორპედო" უხერხემლო გუნდს ჰგავდა...**

— ეს გასაგებიცაა. საწვრთნელი შეკრება ახლახან დავასრულეთ. თანდათან უფრო ავთამაშდებით. კარგი კი იქნებოდა, მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად გვეთამაშა, მაგრამ არა უშავს, კიდევ მოვუმატებთ.

**— ქუთაისში სავარაუდო მეტოქეების სანახავად ჩამოსულმა პრაღელებმა შენი თამაში მოიწონეს...**

— ძალიან კარგი, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარია, „სპარტასთანაც" მაღალ დონეზე ვითამაშოთ.

**— რას გულისხმობ?**

— ჩეხებსაც ორ გოლს თუ გავუტან...

**— ეგ კარგია, მაგრამ რეალურად ვთქვათ: ქუთაისის „ტორპედოს" შეუძლია ამ ბარიერის გადალახვა?**

— რატომაც არა? შეუძლებელი არაფერია. თუ მოვინდომებთ და ვიშრომებთ, „სპარტასაც" დავამარცხებთ. კარგად ვიცი, რომ „B36 ტორსჰავენთან" მთლად დამაჯერებლად ვერ ვითამაშეთ, თუმც ამის გამო ჩვენი ჩამოწერა ნაადრევია.

**— „სპარტაში" კარელ პობორსკი თამაშობს...**

— ჩეხებს რომ კარგი გუნდი ჰყავთ, ყველამ იცის. პობორსკიც ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ ამის თუ შეგვეშინდა, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. მთავარია, არ გავტყდეთ. თან გივი დიდავაც თუ დაგვემატა...

**— დიდავა „ტორპედოსთვის" მართლაც დიდი ძალაა.**

— გივი გუნდის ლიდერია. ის „ტორპედოსთვის" ძალიან საჭირო ფეხბურთელია.

**— რა ვითარებაა მის ირგვლივ, კიდევ ყოყმანობს „მაკაბი"?**

— ვერაფერს გეტყვით, თუმც იმედი მაქვს, დიდავა მალე „ტორპედოში" დაბრუნდება.

**კახა ზალამბერიძე**



ტორპედო — B36 ტორსჰავენი. ზეიად ქუთათელაძემ ფარერელთა მეკარეს ვერ აჯობა



ტამპერე — პიუნიკი. არმან კარამიანმა (№11) ფინელი ტერო კოსკელას „ტამპერეს" დუბლი შეუსრულა

# ჩემპიონთა ლიგა

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ტორპედო (საქართველო) 5:2 B36 ტორსჰავენი (ფარერები)
**1:0 ასათიანი (15), 2:0 იონანიძე (34), 3:0 ასათიანი (47), 3:1 ლაკუნი (55), 4:1 კვეტენაძე (68), 5:1 პოროშინი (74), 5:2 მორტენსენი (76)**

სკონტო (ლატვია) 5:0 ბარი თაუნი (უელსი)
**1:0 კოლესნიჩენკო (13), 2:0 ზემლინსკისი (62), 3:0 კორღალიძე (66), 4:0 კასანავიჩიუსი (87), 5:0 იელისეევსი (90)**

ტამპერე (ფინეთი) 0:4 პიუნიკი (სომხეთი)
**0:1 არმან კარამიანი (32), 0:2 ართავაზ კარამიანი (48), 0:3 არმან კარამიანი (67), 0:4 მკრტჩიანი (72)**

კაუნასი (ლიტვა) 2:3 დინამო (ალბანეთი)
**1:0, 2:0 ველიჩკა (38, 42), 2:1 აჰმატაი (55), 2:2 ბიშა (56), 2:3 კორი (76)**

ჰიბერნიანსი (მალტა) 2:2 შელბურნი (ირლანდია)
**1:0 შუკუნიერე (6), 1:1 ბირნი (7), 2:1 ბულისი (35), 2:2 გენონი (67)**

შერიფი (მოლდოვა) 2:1 ჟენისი (ყაზახეთი)
**0:1 ლოფჩევი (7), 1:1 პრიგანიუკი (58), 2:1 თარხნიშვილი (86პ)**

დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:1 ვარდარი (მაკედონია)
**1:0 რემი (54), 1:1 იორდევსკი (69)**

ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 3:0 აკრანესი (ისლანდია)
**1:0 გუვო (5), 2:0 გრუდიჩი (38), 3:0 გუვო (56)**

ფლორა (ესტონეთი) 0:0 აპოელი (კვიპროსი)

პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) 0:0 ბელშინა (ბელარუსი)

# აფერუმ, ზეინკალო!

**ასეთ რამეს** ჩემპიონთა ლიგის მატჩებისას იშვიათად თუ ნახავთ... მივიდა ზეინკალი მშვიდად ბურთთან, მსაჯთან ცოცხალი კედლის დისტანციაზე საწუწუნო სიტყვაც კი არ დასცდენია, ერთი გახედა კარს და მოხდენილი, მოჭრილ-მოჩუქურთმებული, დარტყმით სახტად დატოვა მეტოქე. ის, რაც გუშინწინ ქუთაისურ „ტორპედოზე" მოხდა, მართლაც უიშვიათესი რამ იყო, გოლი გოლად ხომ ვარგოდა, მაგრამ, აბა, სად გაგონილა, ჩემპიონთა ლიგის მატჩში ზეინკალის ზეობა. წლების განმავლობაში ფარერელთა კლუბების ევროსარბიელზე აქამდე გატანილის დათვლას სულაც ცალი ხელის თითები ეყოფოდა, მშრომელი ხალხით შეკრულმა „B36"-მა კი სულაც ისტორიული საფეხბურთო ფურცელი ჩაუწერა თავის ქვეყანას. შინ თუ გარეთ ფარერულ გუნდს ჩემპიონთა ლიგის მატჩში ერთბაშად ორი გოლი აქამდე არ გაეტანა და ცოტათი უხერხულიც კია, ეს დღისით მუშაობით ოფლდაღვრილი და საღამოს ბურთის გამგორებელი ხალხი საპასუხო მატჩში „ტორპედოელებს" გრიგალს და დიდ ბრძოლას რომ ჰპირდება. მაგრამ „ტორპედოც" ხომ არ არის ის გუნდი, ამგვარ ქადილს ირონიული ღიმილი მიაყოლოს, და მიუხედავად პირველ მატჩში დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, არა მგონია, საქმიოსნეულის განწყობით ჩავიდნენ ქუთაისელები ვულკანური წარმოშობის კუნძულებზე.



ზემლინსკისმა უელსელებს ცენტრიდან გაუტანა

შტელინმა ოთხშაბათის მატჩში უჩვეულოდ გააწყო მცველები. ჭელიძე, ქამოკლიძე, აკოფიანი და მახვილაძე თუნდაც იმიტომ ვერ შეკრავდნენ დაცვას საიმედოდ (მოყვარულებთანაც კი), რომ ფაქტობრივად უკანა ხაზში ერთად თამაშის გამოცდილება აქამდე არ ჰქონიათ, ამიტომაც იყო, ეს მასწავლებელ-ხარატ-მექანიკოსი ხალხი ხანდახან ზედმეტის უფლებას რომ აძლევდა თავს ქუთაისელთა ნახევარზე. მიუხედავად ამისა, ჩინებული იყო ასათიანი, წყვილი გოლით რომ გამოირჩა. ბევრ მცველ კვეტენაძის შორიდან გასროლილსაც არაფერი დაეწუნებოდა, პოროშინმაც ასრულა საგოლე დანაპირები და ჯანაშიამაც იარა მცველებში ჩვეულად, მაგრამ მეორე ტაიმში ქუთაისელები თეთრი ხიდივით იდგნენ და, არ მგონია, ეს სპარტელ დამკვირვებელთათვის წინასწარ მოფიქრებული დამალობანა ყოფილიყო, „ტორპედო" უბრალოდ დაიღალა. თანაც დაიღალა ნამუშევარ-ნამგზავრ, ისე რა მომზადებულ ფეხბურთელებთან, თუმც ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ დაღლაში მცირე წვლილი ქუთაისელთა წინასასეზონო გეგმიურ სამზადისსაც მიუძღვის.

პელე ჰყავს მოლდოვურ „შერიფს", ოღონდ ფეხბურთის მეფესავით დღესდღეობით მოედანზე ვერაფრით ეხმარება გუნდს. ტირასპოლელთა პელეს სრული სახელი პელე-გავრილია და გვარად ბალინცი გახლავთ. ეს ის კაცია, „შერიფის" მწვრთნელობის ჭაპანს რომ წევს და გუნდში კაპიტნად ქართველი ვაჟა თარხნიშვილი აურჩევია.

ტირასპოლელებს საზეიმო დღე ჰქონდათ სალიგო მატჩისას. ახალი სტადიონის საზეიმო გახსნას ეშურებოდნენ, მაგრამ ამინდმა დაალალატა მოლდოვები, თავსხმამ სტადიონის გახსნის ცერემონიალი ხომ ჩაშალა, მერე კი ლამის გუნდიც ხელმოცარული დატოვა — შუხვედრის ბოლო წუთამდე საეჭვო იყო შერიფელთა გამარჯვება... ახალ საფეხბურთო ისტორიას დაუდეს სათავე ყაზახებმა. პირველად მოხდა ქვეყნის წარმომადგენელმა ოფიციალურ ევრომასშტაბის მატჩში რომ მიიღო მონაწილეობა და ასტანის „ჟენისს" ძალიან უნდოდა დებიუტი წარმატებული გამოსულიყო. ლეგიონერებზე აწყობილმა ყაზახურმა გუნდმა თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა გაუწია ახალმოსახლე „შერიფს" და მე-7 წუთზე ლოფჩევმა მარცხენა ფრთაზე კლიშინის ჩაწოდების შემდეგ ანგარიში გახსნა, პირველი ტაიმის დარჩენილ დროში „ჟენისს" კიდევ შეეძლო გატანა და უამურ ამინდში საქმის მომთავრება, მაგრამ მარტენსმა და მენდესმა ვერ ივარგეს.

მატჩი „შერიფმა" უფრო იმიტომ მოიგო, რომ 50-ე წუთისთვის სტუმრები საგრძნობლად დაიღალნენ. მოლდოვებმა ტემპი გაზარდეს და მალე პრიგანიუკმა ტომით ქართველი ყაზახი მეკარის დავით ლორიას შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. ლორია, ყაზახეთის ეროვნული ნაკრების წევრიც რომაა, გოლმა გამოაფხიზლა და მომდევნო ათწუთეულში თითოჯერ გაწბილებული დატოვა პირისპირ შეყრილი პატულა და ბორეცი, მაგრამ 86-ე წუთზე მაინც დაუშვა შეცდომა, საჯარიმოში ნესტერიუკი წააქცია და პენალტის ნიშნულთან ვაჟა თარხნიშვილი მივიდა — ქართველის გოლი გამარჯვებისა გამოდგა, მაგრამ საპასუხო მატჩში დიდი ჯაფა დაადგება „შერიფს".

ქართული სიტყვა ითქვა „სკონტო" — „ბარი თაუნის" მატჩშიც. მოედანზე 20 წუთის შესულმა ლევან კორღალიძემ შორიდან მოიქნია მძლავრად და 3:0 გახადა ანგარიში, მატჩის ბოლომდე ლატვიელებმა ორი უპასუხო გოლის გატანა კიდევ შეძლეს და ერთში კორღალიძემ გაუწია ასისტენტობა კასანავიჩიუსს.

ამ მატჩში „სკონტოს" მეორე ქართველმა, ზურაბ მენთეშაშვილმაც ითამაშა, პირველი ტაიმის შემდეგ სწორედ მის ნაცვლად შევიდა კორღალიძე მოედანზე. „სკონტო" — „ბარი თაუნის" მატჩში ისიც უნდა გამოვარჩიოთ, რომ 62-ე წუთზე ზემლინსკისმა ცენტრიდან გაუტანა გოლი უელსელთა 19 წლის მეკარე რაინერს.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებიდან ყველაზე მოულოდნელი შედეგი „ტამპერე" — „პიუნიკს" მოჰყვა. სომხებმა 4:0 დაამარცხეს ფინელები და ეს გუნდი ფაქტობრივად კიევის „დინამოს" უზის სამიზნეზე.

„სკონტოსავით" მძლავრად დაიწყო მატჩი ბალტიისპირულმა „კაუნასმა", მაგრამ ლიტველებმა ალბანეთის „დინამოსთან" გზადაგზა გაფლანგეს ორბურთიანი ფორა და ბოლოს 2:3 შერჩათ ხელთ.

**ბაადურ ძვანტალიანი**



დედე, ამოროზო და როიტერი „დორტმუნდის“ სეზონისწინა პრეზენტაციისას ლაღობენ და მათიას ზამერიც (ზემოთ მარჯვნივ) გაამხიარულეს

# ტკბობა მწარე რომ არ იყოს

**ჩემპიონობის** მოპოვებაზე ძნელი რომ მისი შენარჩუნებაა, მათიას ზამერს კარგად მოეხსენება. მისი „დორტმუნდი“ სეზონს 11 აგვისტოს „ჰერტასთან“ მატჩით იწყებს. მწვრთნელის აზრით, მთავარია, ფეხბურთელებმა წარსული გამარჯვება დაივიწყონ და ახალი სეზონისთვის საომრად განეწყონ: „წინა სეზონის დასრულების მერე გუნდში ეიფორია იყო, რაც, მართალი გითხრათ, არ მომწონდა, თუმც შვებულებიდან მობრუნებულ ფეხბურთელებს რომ ვუყურებ, ვხედავ, რომ ყველა საბრძოლო ხასიათზეა.“

ზამერს ორიოდ დღის წინ მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა, ახლა კი დორტმუნდელთა კაპიტანმა შტეფან როიტერმაც დაუკრა კვერი: მწვრთნელი მართალია, არ უნდა მოვდუნდეთ. საერთოდ, ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მიღწეულით ტკბობა უყვარს, ამიტომ ახალ სეზონში ახალი მიზნები უნდა დავისახოთო, განაცხადა „დორტმუნდის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მომგებმა მცველმა.

სხვა მხრივ კი, ზოგიერთი თავისი ფეხბურთელის კბილა ზამერის (34 წლისაა) გუნდს პრობლემები ისედაც თავზესაყრელად აქვს. კრისტიან ვიორნის დაშავებულ მუხლსა და მარსიო ამოროზოს აქილევსის მყესს კლუბის ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ევერტონის ტრავმირებული კოჭიც დაემატა.

ერთი სიახლე ისიცაა, რომ „დორტმუნდი“, ისევე როგორც ბევრი სხვა კლუბი, სატრანსფერო ბაზარზე არ გამოჩნდება და ოდენ შემადგენლობის შენარჩუნებაზე იზრუნებს. „ვინმეს დამატებას არ ვაპირებთ, ზოგიერთმა კი შეიძლება კლუბი დატოვოს თუ, ცხადია, მათში სალირო თანხას გადაგვიხდიან“ — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ტორკმა. ამ ზოგიერთში „ბოლტონში“ განათხოვრებული ფრედი ბობიჩი, „ბეტისში“ განათხოვრებული იკბება და მისი თანამემამულე სანდი ოლისე იგულისხმებიან. „დორტმუნდი“ ნორვეგიელ თავდამსხმელ დერეკ სორენსენთან გამომშვიდობებასაც აპირებს.

დაბოლოს, ზამერის გადაწყვეტილებით, გერმანიის ნაკრების დორტმუნდელი წევრები — ფრინგსი, კელი, მეცელდერი, ლემანი და რიკენი გუნდს მხოლოდ 20 ივლისიდან შეუერთდებიან.

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. II ტური

ზალცბურგი 1:2 შტურმი

გრაცერი 0:2 პაშინგი

რაპიდი 1:2 ადმირა ვაკერი

რიდი 1:1 ბრეგენცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ადმირა ვაკერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| აუსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| რაპიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| შტურმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| ბრეგენცი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| გრაცერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| რიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| კერნტენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ზალცბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## შვედეთი

### X ტური

ჰელსინგბორგი 2:1 გიოტებორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იორგრიტე | 10 | 6 | 3 | 1 | 19:14 | 21 |
| ლანდსკრონა | 10 | 5 | 4 | 1 | 24:13 | 19 |
| მალმიო | 10 | 6 | 0 | 4 | 20:13 | 18 |
| გიოტებორგი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:10 | 16 |
| ჰელსინგბორგი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:15 | 16 |
| იურგორდენი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:14 | 15 |
| სუნდსვალი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:8 | 13 |
| იორებრო | 10 | 3 | 4 | 3 | 10:14 | 13 |
| აიკ | 10 | 2 | 4 | 4 | 15:19 | 10 |
| ელფსბორგი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:12 | 10 |
| კალმარი | 10 | 2 | 4 | 4 | 4:10 | 10 |
| ჰალმსტადი | 10 | 1 | 6 | 3 | 8:10 | 9 |
| ჰამარბი | 10 | 2 | 3 | 5 | 17:21 | 9 |
| ნორჩიოპინგი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:11 | 9 |

## შვეიცარია

### A ჯგუფი. III ტური

აარაუ 2:3 გრასჰოპერი

0:1 პეტრიჩი (26), 1:1 დე ნაპოლი (34), 1:2 ბატურინა (57), 1:3 პეტრიჩი (59), 2:3 მელუნოვიჩი (62)

დელემონი 0:1 თუნი

0:1 რენფერი (64)

ქსამაქსი 1:1 ვილი

1:0 ლეანდრო (33), 1:1 ნალდო (74)

სენტ გალენი 5:0 ლუცერნი

1:0, 2:0, 3:0 განე (13, 23, 54), 4:0 კოლაჩინო (84), 5:0 ნიქსონი (86)

იანგ ბოისი 1:1 ბაზელი

1:0 შაპუიზა (47), 1:1 ჩიპერფილდი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 9 |
| ციურიხი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| იანგ ბოისი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| ქსამაქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბაზელი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ვილი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ლუცერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | 4 |
| სენტ გალენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| თუნი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| სერვეტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| დელემონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| აარაუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

### B ჯგუფი. III ტური

ბელინცონა 1:2 შაფჰაუზენი

კონკორდია 2:4 ლოზანა

სიონი 3:0 ბადენი

ვოლენი 0:0 ვადუცი

კრიენსი — ლუგანო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შაფჰაუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ივერდონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ლუგანო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ვოლენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბელინცონა | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| კრიენსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ლოზანა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| კონკორდია | 3 | 0 | 2 | 1 | 6:8 | 2 |
| ვადუცი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:9 | 2 |
| ვინტერთური | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ბადენი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

გრემიო (ბრაზილია) 1:0 (პენ. 4:5) ოლიმპია (პარაგვაი) (2:3)

1:0 ზინიო (45)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ჩვენც ხალხნი ვართ, ეგრე რატომ გვიყურებთ

## ინგლისში საზამთროს ეძებენ

**განვლილმა** მსოფლიოს ჩემპიონატმა ფეხბურთელთა გადაღლაზე სრულიად მსოფლიო აალაპარაკა. ეს თემა განსაკუთრებით ინგლისელებს აწუხებთ. ისინი ხომ თითქმის შეუსვენებლივ, ერთი ამოსუნთქვით იწყებენ და ამთავრებენ. ამ დროს ესპანეთი და იტალია ზამთარში ორ-ორი კვირით, საფრანგეთი და გერმანია კი თითო თვით ისვენებენ. პრემიერლიგელები, მოგეხსენებათ, შობა-ახალიწლის დღეებშიც ყოველ მეორე-მესამე დღეს თამაშობენ, თუმცა სულის მოთქმა მათაც სჭირდებათ.

დავისვენოთ თუ არა? — კითხულობენ ინგლისში. ამის თაობაზე აზრი მწვრთნელ-ფეხბურთელებმა, გულშემატკივრებმა და კლუბთა მესვეურებმა გამოთქვეს.

ქერარ ულიეს და „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინს მიაჩნიათ, რომ შობა-ახალიწლის სადღესასწაულო განწყობას ფეხბურთი ხიბლს მატებს. ამიტომაც ამბობენ, ხალხზე ვიფიქროთ, ეს სიამოვნება არ უნდა მოვაკლოთო. მათივე თქმით, შვებულება შეიძლება დღესასწაულების შემდეგ, იანვრის მეორე, მესამე და მეოთხე კვირაში მოეწყოს. ეს ნიშნავს, რომ ინგლისში სეზონი ოდნავ ადრე დაიწყება, რაც ასევე მის მოგვიანებით დასრულებას გამოიწვევს. სამკვირიან ანტრაქტს ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიც მხარს უჭერს.

აი, რას ამბობს „ლივერპულის“ ნორვეგიელი ლეგიონერი ვეგარდ ჰეგემი: „ზამთარში დასვენება აუცილებელია. ძალიან გადატვირთული კალენდარი გვაქვს. აგვისტოდან მაისის ჩათვლით მუდმივად კარგ ფორმაში ყოფნა რთულია. ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია მსგავსი დატვირთვების ატანა. არც ფეხბურთელია გამონაკლისი. დარწმუნებული ვარ, რომ მუხლის ტრავმა ან კუნთის გაწყვეტა უმეტეს წილად გადაღლის ბრალია. მართალია, მწვრთნელებს სათადარიგო ფეხბურთელებიც ჰყავთ, რათა ძირითადი მოთამაშეები დაასვენონ, მაგრამ ვინც უნდა იყოს, მისგან ხომ მუდმივ მზადყოფნას ითხოვენ. ვფიქრობ, ზამთრის შვებულება მარტო გუნდებს კი არა, გულშემატკივრებსაც წაადგება. დასვენებულები ბევრად უკეთეს ფეხბურთს გავაჩაღებთ და ისინიც მეტ სიამოვნებას მიიღებენ.“

თავისი სიტყვა სვენ გორან ერიკსონის თანაშემწე სტიუარტ ბაქსტერმაც თქვა: „საქმე ის კი არაა, რომ ფიზიკურად დაღლილებს უბრალოდ, განტვირთვა სჭირდებათ, არამედ, ფსიქოლოგიური მომენტიც არსებობს. თამაშს მოწყურებული ფეხბურთელები გაცილებით მონდომებულნი იქნებიან. ინგლისზე ამბობენ, რომ აქ საუკეთესო ლიგაა. ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, სადავოა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — პრემიერლიგაში მხოლოდ ჯანით და სულით უძლიერესნი თამაშობენ. ვფიქრობ, ფსიქოლოგიურად მზად ვინც არის, მას არც ფიზიკურად გაუჭირდება. ეს ორი კომპონენტი ყოველთვის ერთმანეთს ავსებდა. თუ ფეხბურთელი დილით გაიღვიძებს და დაღლილობას გრძნობს, მის სახეზე ღიმილიც გაქრება. როცა დადებითი ემოციები მოაკლდება, მაშინ ველარც მინდორზე აზროვნებს და სწრაფადაც ვერ დარბის. ცხადია, ძალების აღდგენისთვის ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ეს პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არაა.“

აზრის გამოთქმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივართა ასოციაციის თავმჯდომარემ მარკ ლონგდენმაც არ დაიზარა: „ზამთრის შესვენების თაობაზე იდეა მომწონს, თუმც სჯობს, ჩინოვნიკებმა ფეხბურთელთა საზაფხულო შვებულებაზეც იფიქრონ, რომლის ვადაც ბოლო წლებში სულ უფრო მცირდება. ვფიქრობ, ზაფხულში მოთამაშეები ძალების სრულყოფილად აღდგენას ვერ ახერხებენ. მე თუ მკითხავთ, იანვარში ფეხბურთის საყურებლად სიარული მაინცდამაინც სახალისო არაა. პრობლემის გადაწყვეტა სხვაგვარადაც შეიძლება — ლიგაში გუნდების რაოდენობა 20-დან 18-მდე უნდა შემცირდეს.“

დაბოლოს, დევიდ დინი: „ჩვენი სურვილია, რომ კლუბებმა მაყურებელს საუკეთესო სანახაობა აჩუქონ. საამისოდ ვითხოვთ კიდეც სამკვირიან შვებულებას იანვარში, რათა ფეხბურთელებმა სათანადოდ დაისვენონ. არდადეგები ყველას არგებს — მწვრთნელებს, მოთამაშეებს და ფანებსაც. ფეხბურთი, როგორც თამაში, გაცილებით მიმზიდველი გახდება.“

**ვაჟა ხუციშვილი**




წინა სეზონის „ლივერპული“ — „რომას“ მატჩის წინ ნაინფარქტალი ჟერარ ულიე პირველად დაინახა ხალხს. ინფარქტის ერთ-ერთი მიზეზი გადაღლილობაც იყო



ჟაკ სანტინი



რაიმონ დომენეკი



ფილიპ ტრუსიე



რენე ჟერარი

# მეეეეე!

## საფრანგეთი და ოთხი მუშკეტერი, ოღონდ ყველა თავისთვის

**დღეს** ფრანგები ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, როჟე ლემერის შემცვლელს დაასახელებენ, ოთხშაბათს ითქვა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, კლოდ სიმონეს ოთხივე კანდიდატთან უსაუბრია. კანდიდატები კი გახლავან: ჟაკ სანტინი, ფილიპ ტრუსიე, რაიმონ დომენეკი და რენე ჟერარი. ფედერაციის შენობიდან გასვლისას თითოეულმა მათგანმა განაცხადა, რომ თანამდებობას სწორედ მას ჩააბარებენ.

50 წლის სანტინი ის სპეციალისტი გახლავთ, რომელმაც „ლიონი" ისტორიაში პირველად გახადა საფრანგეთის ჩემპიონი. „ფედერაციაში, პრეზიდენტთან სალაპარაკოდ რომ მოვდიოდი, ეჭვი არაფერში მეპარებოდა. ახლა, ფედერაციიდან გასვლისასაც იგივეს ვფიქრობ. კლოდ სიმონეს ჩემი შესაძლებლობები ძალიან კარგად მოეხსენება. იცის, რომ თავჩალუნული, ოცდაოთხსაათიანი მუშაობის უნარი შემწევს. ამასთან მისთვის ჩემს მიერ კარიერის მანძილზე მიღწეული შედეგებიც ცნობილია".

47 წლის ტრუსიე ახლახან, მსოფლიოს ჩემპიონატზე, იაპონიის ნაკრებს ედგა სათავეში, ოთხი წლის წინანდელ მუნდიალზე კი სამხრეთ აფრიკას წვრთნიდა: „საფრანგეთი ნაკრების მწვრთნელს ეძებს, არა? მე სწორედ ამ საქმის სპეციალისტი ვარ".

როდესაც ტრუსიეს ჰკითხეს, რას იტყვით იმ მოსაზრებაზე, თითქოს თქვენ უცხოეთში კარიერის და მოღვაწეობის გამო ფრანგულ ფეხბურთს კარგად არ იცნობთო, მან უპასუხა: „ფრანგული ფეხბურთი დიდი ხანია საფრანგეთის საზღვრებში აღარ არის ჩაკეტილი".

48 წლის ჟერარი მთელი ოთხი წლის მანძილზე როჟე ლემერის ასისტენტად მუშაობდა: „როგორც ნაკრებთან მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე კაცი, უპირველესი კანდიდატი ვარ. მე, ელემენტარულად, სამზარეულოს გაცნობაში დრო არ დამეკარგება. ჯადოსნური ჯოხიც არ მაქვს, ერთი რომ დავიქნიო და ყველაფერი შევცვალო. დღეს არსებულის ერთი ხელის დაკვრით მოშორებაც შეცდომა მგონია".

დომენეკი კი ფედერაციაში, 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცად 1993 წლიდან მუშაობს და მის ხელში გავლილების ჩამოთვლა მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს: ზინედინ ზიდანი და კრისტოფ დიუგარი პირველი თაობიდან, ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგე და მიკაელ სილვესტრი — მეორედან.

„მე ყველა ფეხბურთელს ვიცნობ. მათაც, ვინც უკვე დიდ ასპარეზზეა და მათაც, ვინც სამი წლის შემდეგ უნდა გამოჩნდეს" — ამბობს დომენიკი.

**ბაჩუნა ძიდია**



რობერ პირესი

# პირესის იმედი ოქტომბრამდე ნუ გექნებათ

## არსენალმა გარემარბად შინაური ირჩია

**რობერ პირესი** ამბობს, რომ მას, სექტემბრის ბოლოს, ძველებურად ვიხილავთ ინგლისის ჩემპიონის, „არსენალის" შემადგენლობაში. ეს ფრანგი ფეხბურთელი წინა სეზონში ინგლისელმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მარტში კი მან მუხლი დაიშავა და მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოსტოვა.

„მკურნალობა კარგად მიდის" — უთხრა გაზეთ „ივნინგ სტანდარდს" 29 წლის გარემარბმა, რომელმაც ოპერაცია მაისში, სამშობლოში, ოღონდ არა პარიზში, არამედ, სამხრეთში მდებარე სპორტსმენთა საგანგებო კლინიკაში გაიკეთა.

ერთი სიტყვით, პირესი „არსენალში" სექტემბრის ბოლოს გამოჩნდება, არადა, პრემიერლიგა ჩემპიონატს 17 აგვისტოში იწყებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ლონდონელთა ფრანგ მწვრთნელს, არსენ ვენგერს გარემარბის გარეშე მთელი თვენახევრის გატარება მოუწევს, რასაც ამძიმებს ის გარემოებაც, რომ დაშავებულთა სიაში პირესი მარტო არაა. ვერ ითამაშებენ ჰოლანდიელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგიც.

ასეთ პირობებში ვენგერი ინგლისელი ფრენსის ჯეფერსით აპირებს ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის წინ „ევერტონისგან" 12,54 მილიონ დოლარად ნაყიდმა ამ თავდამსხმელმა მთელი წინა სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ვენგერი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ჯეფერსზე სერიოზულ იმედს ვამყარებ. გასულ სეზონში სულ კოჭს იტკივებდა, მაგრამ ოპერაცია გაიკეთა და, ალბათ, ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება".

**ბაჩუნა ძიდია**


# იყიდება

ვაკეში, ჯიქიაძეზე ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46




# ოჯახი ცდუნდა

## ფერდინანდები ლიდსის წინააღმდეგ

**ლონდონის** უბან თვიქჰემში ფერდინანდთა ოჯახის მრგვალი მაგიდის ირგვლივ მსხდომმა საზოგადოებამ, ძირითადად ოჯახის წევრებმა, ითათბირეს და დაადგინეს, რომ მათი გვარის სიამაყე რიო დათანხმდეს „მანჩესტერ იუნაიტედის" მხრიდან წამოსულ მეტად მაცდურ წინადადებას, „ლიდს იუნაიტედის" დატოვების და სახელოვან კლუბში ახალი თავგადასავლის ძიების თაობაზე.

წინადადება კი, რომელიც კვლავაც ძალაშია, იმგვარია, რომ 23 წლის რიომ მარტო ვერ გადაწყვიტა და სწორედ ამიტომ გახდა საჭირო, საოჯახო საბჭოს გაფართოებული შემადგენლობით მოწვევა. ცდუნება მოკლედ ასე ჟღერს — კვირაში 60 ათასი გირვანქა ჯამაგირი, რაც ფეხბურთელის ამჟამინდელ ხელფასზე დაახლოებით ორჯერ მეტია, ამასთან მსოფლიოს უმდიდრეს კლუბში კარიერის გაგრძელება და თან დევიდ ბექჰემის, რაიან გიგზის და მათთანების გვერდით თამაში.

ცდუნებას მთელი ფერდინანდთა ოჯახი აჰყვა და რიოს ტრანსფერზე დათანხმდა. გადაწყდა, რომ 23 წლის მცველი ლიდსში ჩასვლისთანავე კლუბის ოფისში წერილობით მოითხოვდა „ლიდს იუნაიტედის" დატოვებას, რაც გააკეთა კიდეც.

სევილია — ვალენსია
მალიორკა — მალაგა
რაიო ვალეკანო — უელვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. "ა" ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 007 | აარაუ-ქსამაქსი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 20.30 | 008 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 20.30 | 009 | თუნი-სტ.გალენი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 22.30 | 010 | ბაზელი-დელემონი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 011 | ბაზელი-დელემონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 013 | ვილი-იანგ ბოიზი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | **შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. IV ტური** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 020 | ბადენი-ვადუცი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 021 | ვინტერთური-კონკორდია | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 22.30 | 022 | ლოზანა-ბელინცონა | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,1 | 1,75 |
| 22.30 | 023 | ლუგანო-ივერდონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 024 | შაფჰაუზენი-ვოლენი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 22.30 | 025 | სიონი-კრინსი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **რუსეთი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 040 | შინიკი-სპარტაკი | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| 16.00 | 041 | ურალანი-ზენიტი | 2,3 | 2,9 | 3,0 | 1,25 | 1,3 | 1,45 |
| | | **შვედეთი. XI ტური** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 044 | სუნდსვალი-იორგრიტე | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 20.00 | 045 | ლანდსკრონა-კალმარი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 046 | ჰალმსტადი-აიკ | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 22.00 | 047 | ელფსბორგი-ნორჩიოპინგი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 22.00 | 048 | იორებრო-ჰამარბი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **ნორვეგია. XV ტური** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 19.00 | 050 | მოსი-ბრანი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 051 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 052 | ლილესტრიომი-ლინი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 053 | ვოლერენგა-სტაბეკი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 056 | ალიანსი-ინტერი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 20.30 | 057 | კუოპიო-ჯაზი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 058 | ტამპერე-იარო | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 20.30 | 060 | ვაასა-ჰკა | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,65 | 1,2 | 1,15 |
| 20.30 | 061 | ლაჰტი-მიუპა | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 062 | ჰაამეენლინა-ჰიკ | 3,5 | 3,1 | 1,95 | 1,6 | 1,2 | 1,1 |
| | | **შვედეთი. თასის 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 065 | იურგორდენი-ვასბი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,5 |
| | | **ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 076 | მარეკი-სლავენი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 077 | გლორია-ლილი | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,35 |
| 21.00 | 078 | ფულემი-ეგალეო | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 22.30 | 079 | ბრედა-ტრუა | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,35 | 1,25 | 1,35 |
| 23.00 | 080 | შტუტგარტი-პერუჯა | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 23.30 | 081 | ბოლონია-ბატე | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 24.00 | 082 | მალაგა-გენტი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 083 | კრილია-ტილბურგი | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 19.00 | 084 | კაიზერსლაუტერნი-ტეპლიცე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 20.00 | 085 | სიონი-სოშო | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 086 | ტორინო-ვილიარეალი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 087 | ციურიხი-ასტონ ვილა | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,35 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი. (19 წლამდე. ნორვეგიაში)** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 090 | ნორვეგია-სლოვაკეთი | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | |
| 21.00 | 091 | ესპანეთი-ჩეხეთი | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 092 | ინგლისი-გერმანია | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | |
| 21.00 | 093 | ბელგია-ირლანდია | 2,8 | 3,1 | 2,2 | | | |

**ფორმულა 1. XI რბოლა (საფრანგეთი)**
**21 ივლისი (15.00)**

| 5001 გამარჯვებული | | სამეული | ექსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,6 | 5101 ----- 1,1 | 5201 ---- 1,03 | 2,2 |
| ბარიკელო | 3,5 | 5102 ----- 1,4 | 5202 ---- 1,15 | 2,5 |
| მონტოია | 5,0 | 5103 ----- 1,6 | 5203 ------ 1,3 | 3,8 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 5104 ----- 2,2 | 5204 ---- 1,35 | 7,0 |
| კულტჰარდი | 15,0 | 5105 ----- 3,0 | 5205 ---- 1,45 | 10,0 |
| რაიკონენი | 25,0 | 5106 ----- 4,4 | 5206 ---- 1,75 | 20,0 |
| ბატონი | 75,0 | 5107 --- 15,0 | 5207 ------ 2,8 | 100,0 |
| ტრული | 75,0 | 5108 --- 15,0 | 5208 ------ 2,8 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 100,0 | 5109 --- 20,0 | 5209 ------ 3,2 | 100,0 |

**5003 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას (FIA-ს წესებით)**

11 ან ნაკლები -------------------- 4,0    12 ან 13 --------------------- 3,5
13 ან 14 ------------------------- 3,5    16 ან მეტი --------------------- 3,0

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**




**ჰელსინკიმ** ოლიმპიური ესტაფეტა ბერლინისგან მიიღო და XII თამაშების სამასპინძლოდ ემზადებოდა კიდეც. მას ოლიმპიადისთვის 1940 წელს უნდა ემასპინძლა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ყოველივე არივ-დარია და სპორტისთვის ალარავის ეცალა. და მაინც, 12 წლის მერე ჰელსინკის წილად ხვდა პატივი, რომ XV ოლიმპიური თამაშები მიეღო. ეს 1947 წლის 21 ივლისს გადაწყდა.

ამ ოლიმპიურ თამაშებს ცივი ომის კვალი ეტყობოდა. საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებმა ოლიმპიურ სოფელში განცალკევებით დაიდეს ბინა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგები ეტყობოდა თავად ჰელსინკისაც, სადაც ყავა და შაქარი ტალონებით ნაწილდებოდა. ქალაქში არ იყო გასართობები. სტუმართა პატივისცემის ნიშნად ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების დღეებში შერბილდა მშრალი კანონი და ქალაქში გაიხსნა პირველი ღამის კლუბები, რომლებიც პრაქტიკულად მთელი 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ. ჰელსინკელებმა იმ დღეებში პირველად გაუგეს გემო კევსა და „კოკა-კოლას", რომელიც შემდგომ სოკ-ის ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორი გახდა.

ჰელსინკიში ჩასული ტურისტები კერძო ბინებში და კემპინგებში ცხოვრობდნენ, რადგან მათთვის სასტუმროები არ აუგიათ. ერთადერთი ახალი სასტუმრო ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სტუმრებისთვის და განსაკუთრებით საპატივცემულო სტუმრებისთვის აშენდა.

ასე იყო თუ ისე, ჰელსინკი და საერთოდ ფინეთი აღმოჩნდა ყველაზე პატარა ქალაქი და ქვეყანა, რომელსაც ოლიმპიური თამაშებისთვის უმასპინძლია. და ეს მაშინ, როცა ფინეთი, როგორც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის მხარეს მებრძოლი და მასთან ერთად დამარცხებული, სსრ კავშირს უზარმაზარ ხარკს უხდიდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჰელსინკიმ ოლიმპიურ თამაშებს ღირსეულად უმასპინძლა. ამით აღფრთოვანებულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელმა პრეზიდენტმა ედსტრიომმა თამაშების დამთავრების მერე თქვა, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები საუკეთესოდ იყო ორგანიზებული მათ შორის, რომელსაც მე დავსწრებივარო. არადა, ედსტრიომისთვის ეს მეათე ოლიმპიური თამაშები იყო.

ყოველივე ამის გამო ჰელსინკის გადაეცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თასი, ის თასი, რომელსაც ოლიმპიური თამაშების საუკეთესოდ ჩატარებისთვის მასპინძელ ქალაქს აჯილდოებენ.

საერთოდ, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები ამ ასპარეზობათა ისტორიაში საეტაპო გამოდგა. მას „ბოლო ნამდვილი თამაშები" უწოდეს. ამაში კომერციალიზაციისგან განზე დგომას გულისხმობდნენ. ჰელსინკის თამაშების მერე ბიზნესი ხუთ რგოლშიც შეიჭრა. ამასთან, როგორც შვედურ პრესაში დაიწერა: „ჰელსინკიდან დაიწყო ყველა დროის უდიდესი ოლიმპიადები". ეს იმასაც ნიშნავდა, რომ გამარჯვების იმედი უნდა ჰქონოდა მხოლოდ იმას, ვინც ოლიმპიურ და მსოფლიო რეკორდებს დაამყარებდა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ოლიმპიურ სარბიელზე პირველად გამოჩნდნენ სსრ კავშირის სპორტსმენები, რომლებიც უდიდეს ძალას წარმოადგენდნენ. მათი გამოსვლა ამ უდიდეს სპორტულ ასპარეზობაზე შესაძლებელი გახდა მას მერე, როცა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი აღიარეს. ეს მოხდა 1951 წლის 7 მაისს. ამ ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ალუდგინეს გერმანელებსაც, ოღონდ ჰელსინკიში უკვე ორად გახლეჩილი გერმანიის დასავლელი სპორტსმენები გამოვიდნენ. იასპარეზეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმაც. ჰელსინკიში დაედო სათავე ოლიმპიურ თამაშებზე ბაჰამის კუნძულების, განის, გვატემალის, ისრაელის, ინდონეზიის, ნიგერიის, ნიდერლანდების, ანტალიის კუნძულების, ტაილანდის, სამხრეთ ვიეტნამისა და ჰონკონგის სპორტსმენთა გამოსვლებს. სულ ამ ოლიმპიურ თამაშებში 69 ქვეყნის 4925 ათლეტი ჩაება. ეს უკვე ჰელსინკის ოლიმპიადის პირველი რეკორდი იყო, მთავარი რეკორდი კი სპორტული მიღწევების სიმრავლე გახლდათ. ჰელსინკიში 111-ჯერ დაემხო ოლიმპიური რეკორდები, რომელთაგან 27 მსოფლიოს რეკორდი გამოდგა. შეჯიბრებების მონაწილენი სპორტის 18 სახეობის 149 დისციპლინაში გამოდიოდნენ.

ამ ოლიმპიადაზე დაწერილ საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წყაროებში ვკითხულობთ, რომ სსრ კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენებმა არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულათა თანაბარი რაოდენობა (494-494) მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვესო. თუ ამგვარი გამოთვლისთვის მხედველობაში მივიღებთ პირველი ექვსეულის შედეგებს, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ დასავლელები მედლების, უწინარეს ყოვლისა, „ოქროს" დათვლას ამჯობინებენ. ამგვარი საზომით აშშ-ს დელეგაცია მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა სსრკ-ს წარმომადგენლებზე. ამერიკელებმა ჰელსინკიში 40 ოქროს, 19 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საბჭოთა სპორტსმენებმა შესაბამისად 22, 30 და 19. III ადგილზე გავიდნენ უნგრელები (შესაბამისად 16,10,16).

საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი მედლები მოიპოვეს ბადროს მტყორცნელებმა: მოსკოველებმა ნინა რომაშკოვამ (პონომარიოვამ), ელიზავეტა ბაგრიანცევამ და თბილისელმა ნინო დუმბაძემ, რომლებმაც საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური ამავე თანმიმდევრობით შეავსეს.

მძლეოსანმა ქალებმა პროგრამის 9 სახეობიდან 8-ში დაამყარეს ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 5 მსოფლიოსიც იყო. სიგრძეზე ხტომაში 9 მონაწილემ სულ რაღაც 30 წუთში გააუმჯობესა ოლიმპიური რეკორდი.

ამავე სახეობაში ვაჟებმა პროგრამის 24 დისციპლინაში 19 ოლიმპიური რეკორდი დაამყარეს და ორშიც გაიმეორეს. ამ რეკორდებიდან 4 მსოფლიოს რეკორდს აჭარბებდა. უნგრელმა იოჟეფ ჩერმაკმა უროს ტყორცნაში პირველმა გადალახა „მოჯადოებული" 60-მეტრიანი ზღვარი (60მ. 34სმ). 100 მეტრზე რბენაში ოთხმა სპორტსმენმა აჩვენა ერთნაირი შედეგი (10,4) და მათ შორის თანმიმდევრობა მხოლოდ ფოტოფინიშმა განსაზღვრა; მძლეოსანთა პაექრობაში ყურადღება მიიპყრო პ.ო. ბრაიენის გამოსვლამ. მან ბირთვის კვრის ახალი ტექნიკა გამოიყენა და გაიმარჯვა, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მძლეოსანი გახლდათ ჩეხოსლოვაკიელი ემილ ზატოპეკი, რომელმაც გაიმარჯვა 5 000, 10 000 მეტრზე და მარათონულ რბენაში, რისთვისაც ჰელსინკის ოლიმპიადის გმირად შერაცხეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოცურავეთა შეჯიბრებამ, სადაც თერთმეტივე სახეობაში ოლიმპიური რეკორდი დამყარდა, რომელთაგან ერთი მსოფლიოსიც იყო (4X100 მეტრზე ქალთა თავისუფალი სტილით ცურვაში). ქალებში უძლიერესნი იყვნენ უნგრელები, რომლებმაც 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვაჟებში ყველაზე მეტი ჯილდო აშშ-ს სპორტსმენებმა დაიმსახურეს. მათმა მოცურავეებმაც ზუსტად ისეთივე ნადავლი წაიღეს, როგორიც უნგრელებმა.

წყალში მხტომელთა შეჯიბრების ტრიუმფატორი იყო ამერიკელი პატ მაკკორმიკი. მან ტრამპლინიდან ხტომაშიც გაიმარჯვა და კოშკურიდან ასპარეზობაშიც. მან ასეთსავე წარმატებას მიაღწია მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზეც. ამგვარად, იგი წყალში მხტომელთა ისტორიაში პირველი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ძალოსნებმა 6 მსოფლიოსა და 23 ოლიმპიური რეკორდი დაამყარეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა ძალოსნებმა, რომლებმაც 3-3 ოქროს, ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონთა შორის აღმოჩნდა თბილისელი რაფაელ ჩიმიშკიანიც, რომელმაც ახევე მსოფლიოს რეკორდით იმარჯვა.

საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც, სადაც 6 ოქროს, 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. თავისუფალ ჭიდაობაში სსრკ-დან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დავით ციმაკურიძე.

ყველა გაიოცეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებიც საერთოდ პირველად გამოდიოდნენ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მათ 6,5 ქულით ჩამოიტოვეს შვეიცარიის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში 1950 წლის ყველა მსოფლიოს ჩემპიონი გამოდიოდა. საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვიქტორ ჩუკარინმა 4 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩუკარინმა მომდევნო თამაშებზე თავისი ოლიმპიური ნადავლი შვიდამდე გაზარდა.

ფარიკაობაში, ტრადიციისამებრ, ოქროს მედლები მოიპოვეს უნგრეთის, იტალიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა. უნგრელმა ხმლით მოფარიკავეებმა საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური შეავსეს.

საცხენოსნო სპორტში ყველას შვეიცის წარმომადგენლებმა აჯობეს. მათ გაიმარჯვეს ცხენის გაწვრთნასა და სამჭიდში.

კრივში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა უნგრელი ლასლო პაპი (საშუალო წონა). მანამდე მსგავსი რამ შესძლო მხოლოდ ინგლისელმა ჰარი მელინგმ, რომელმაც თავისი ტიტული 1924 წელს დაიცვა.

მაგრამ ლასლო პაპი, როგორც იტყვიან, ამით არ დაკმაყოფილდა და 1956 წელს მელბურნში მესამე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა ნორველ ლიმ, ვინც ჰელსინკიში სათადარიგოდ ჩაიყვანეს, მაგრამ ბოლოს ოქროს მედალთან ერთად, როგორც საუკეთესო მოკრივემ, ველ ბარკლის თასიც დაიმსახურა. მეორე საშუალო წონაში ბადალი არ ჰყავდა მის თანაგუნდელ ფლოიდ პატერსონს, მერე პროფესიონალთა შორისაც ჩემპიონი რომ გახდა.

25 მეტრზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტზე სწრაფ სროლაში, ისე როგორც ლონდონის ოლიმპიადაზე, კვლავ გაიმარჯვა უნგრელმა კაროი ტაკაჩმა, ვისაც უბედური შემთხვევის გამო 1936 წელს მარჯვენა ხელი მოკვეთეს, რის შედეგადაც იარაღი მარცხენაში გადაანაცვლა და მსოფლიოს ჩემპიონატების „ოქროებიც" მოიპოვა.

ეს ოლიმპიური თამაშები უკვდავი გამოდგა, რადგან იგი დღემდე ოფიციალურად დახურულად არ გამოცხადებულა.

საქმე ისაა, რომ სოკ-ის პრეზიდენტ ედსტრიომს თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიალზე წარმოსათქმელი სიტყვა სასტუმროში დარჩა. მიუხედავად ამისა, მან ზეპირად ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ დასასრულს დაავიწყდა ტრადიციული ფრაზის წარმოთქმა: „XV ოლიმპიურ თამაშებს დახურულად ვაცხადებ". მეორე დღეს გაზეთები წერდნენ, ეს თამაშები არ დახურულა, ამიტომაც უკვდავიაო.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონი

**საქართველოს სპორტსმენებმა სხვა საბჭოთა ათლეტებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებში პირველად 50 წლის წინათ იასპარეზეს ჰელსინკიში. ახლა ამ ღირსსახსოვარ თარიღს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ცალ-ცალკე აღნიშნავენ და თავად ჰელსინკელებიც ვრცელი პროგრამით ზეიმობენ. სწორედ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვიხსენებთ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ, 19 ივლისს დაიწყო.**

# უკვდავი თამაშები

## ჰელსინკელებმა იმ დღეებში პირველად დააჭაშნიკეს ოლიმპიური თამაშები, „კოკა-კოლა" და კევი



პატ მაკკორმიკი



კაროი ტაკაჩი



ლასლო პაპი



სამხტომში გამარჯვებული ბრაზილიელი ადემარ ფერეირა და სილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბენეტონი კარგი ტონი & დენვერი მილიონი

## ნიკა ცქიტიშვილი: მე ვიცი, რომ ბევრი უნდა ვისწავლო




ცქიტიშვილს დენვერში 20 ნომერი დაკავებული დახვდა

*ნიკა ცქიტიშვილის ლიუბლიანის „სლოვანიდან" იტალიურ „ბენეტონში" გადასვლას გვარიანი წინალობა ახლდა, მაშინ სლოვენიურმა კლუბმა ქართველის გათავისუფლების ფურცლის გაცემას საშველი არ დააყენა და ჩვენებური ნახევარ წელიწადზე მეტხანს ფაქტობრივად უგუნდოდ ამყოფა. აი, ცქიტიშვილის „ბენეტონიდან" „დენვერ ნაგიტსში" გადასვლა კი შეუდარებლად იოლად მოგვარდა. გუშინ დენვერთან გასაფორმებელი კონტრაქტის ხელისშემშლელი ბოლო წინალობაც უკან დარჩა.*

დენვერელებს ახლა იმაზე მეტად სურთ ცქიტიშვილი, ვიდრე თავის დროზე ტრევიზოელებს სურდათ. წესი წესია და ხსენებული საბუთის გარეშე კონტრაქტი ვერც ამ შემთხვევაში გაფორმდება. „ბენეტონი" რომ ნიკას ჯიბრში არ ჩაუდგებოდა და გათავისუფლების ფურცელს არ დაუკავებდა, აქამდეც ცნობილი იყო, ახლა კი ეს საქმე მხოლოდ დროის ამბავია.

თუ უკვე არა, უახლოეს საათებში „ბენეტონის" საბანკო ანგარიშზე ის 1 მილიონი დოლარი დაჯდება, რომლითაც „დენვერი" ტრევიზოელთაგან ცქიტიშვილის კონტრაქტს გამოისყიდის და იტალიიდანაც ამის შემდეგ აფრენენ ცნობას, რომლის დენვერში ჩასვლის შემდეგ ყველაფერს წერტილი დაესმება — ნიკა ცქიტიშვილი ოფიციალურად გახდება დენვერელი. ეს ამბავი გუშინ თავად ნიკამ დენვერიდან ტელეფონით გვაუწყა.

*— დღეს ველაპარაკე ჩემს მენეჯერ მარკ ფლეიშერს, რომელმაც მითხრა, „ბენეტონთან" ყველაფერი შეთანხმებულია და გათავისუფლების ფურცელსაც დღეს თუ არა, ხვალ მივიღებთო. ალარ მიკითხავს, მაგრამ, მგონი, ჩემი კონტრაქტის გამოსასყიდი თანხა იტალიელებმა უკვე მიიღეს, ანაც მალე მიიღებენ. აქ ძალიან ჩქარობენ, კონტრაქტი გამიფორმონ. ზეგ საზაფხულო ლიგა იწყება და მიიღებენ თუ არა „ბენეტონისგან" საჭირო საბუთს, ეს საქმეც მაშინვე მოგვარდება. ჩემი აზრით, ხვალ-ზეგ ნაღდი დენვერელი ვიქნები.*

თავად „დენვერი" კი საზაფხულო ლიგისთვის სერიოზულად ემზადება. თუ ცქიტიშვილი კონტრაქტის არქონის გამო ტრავმსაშიშ ვარჯიშებს თავს არიდებდა, ახლა, როცა მის და „ნაგიტსის" კავშირს თითქმის აღარაფერი ემუქრება, მთელი დატვირთვით ვარჯიშობს.

*— თუ აქამდე დღეში ორჯერ, სამ-სამი საათი ვვარჯიშობდით, ახლა იგივეს ოთხ-ოთხი საათი ვუნდებით. უკვე სრული დატვირთვით ვემზადები, მაგრამ დენვერელებს ამის გახმაურება ჯერ არ უნდათ. თითქმის ყოველ საღამოს ტელევიზია მოდის და სანამ კამერებით დარბაზში შემოვლენ, მწვრთნელს მოედნიდან გავყავარ. არ სურთ, ჩემმა მენეჯერმა ან სხვებმა გაიგონ, უკონტრაქტოდ რომ ვვარჯიშობ. ჩემი ამ ნაბიჯით ძალიან კმაყოფილები არიან, სულ მაქებენ და მხარზე ხელს მირტყამენ...*

„დენვერს" საზაფხულო ლიგისთვის 17 კალათბურთელი ჰყავს შერჩეული, თუმც ჩვენებურის გარდა კონტრაქტით ვის შეკვრება, ჯერ არ არის ცნობილი. სალიგოდ მიცემულ 22-ნომრიან მაისურას ქართველი ჩემპიონატშიც მოირგებს. იერი კი, ნიკას თავიდან 20-ნომრიანი მოუთხოვია.

*— როცა ნომერს მაძლევდნენ, ვთქვი, „ბენეტონში" 20 ვიყავი და თქვენც გთხოვთ, ეს ნომერი მომცეთ-მეთქი. მაგრამ არ გამოვიდა, სხვას ჰქონია და დარჩენილთაგან 22-ნომრიანი მაისურა ავირჩიე. კონტრაქტის გაფორმების შემდეგაც ამ ნომრით ვითამაშებ. 17 კალათბურთელიდან საბოლოოდ, ალბათ, 7-8-ს დაიტოვებენ. აქ არის რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც ჯერ ერთი სეზონია, რაც ნბა-ში თამაშობენ. აქვეა ის ოთხი მოყვარული, რომლებიც სტრიტბოლის ტურნირიდან შეარჩიეს. ეს ბიჭები ძირითადად დრიბლინგით გამოირჩევიან. ბურთს ისე ატარებენ, გეგონება უმისოდ ცხოვრებაში არაფერს აკეთებენო. მგონი, ილარიოც ითამაშებს საზაფხულო ლიგას, მისი ყოფილი კლუბი ორნახევარი მილიონიდან 400 ათასზე ჩამოვიდა და, ალბათ, მასაც მალე გაუფორმებენ კონტრაქტს.*

სანამ „დენვერს" ახალ თავკაცს დაუნიშნავენ, მწვრთნელები გუნდის დაცვისუნარიანობას აძლიერებენ.

*— არ ვიცი რატომ, მაგრამ მწვრთნელები დაცვაზე მეტ აქცენტს აკეთებენ, ვიდრე შეტევაზე. ვარჯიშებზეც სულ საამისოდ ვმუშაობთ. თუ თავიდან გვიჭირდა, ახლა უფრო შევკავშირდით და ორგანიზებული სახე მივიღეთ. გუნდურ სულისკვეთებას თანდათან ვიძენთ...*

*ვიცი, უამრავი სამუშაო მელის. სეზონი რომ დაიწყება, მაშინ გამოჩნდება, რასაც წარმოვადგენ. აქ გაცილებით რთულია თამაში, ვიდრე იტალიაში. ახალბედებშია თავის გამოჩენა ძნელი და მერე რაღა იქნება, ნამდვილ ვარსკვლავებთან რომ მომიწევს თამაში. მაინც იმედიანად ვარ. რომ ვთქვა, ნბა-ში თამაშის ძალა არ შემწევს-მეთქი, არ იქნება სწორი. ამაზე ფიქრი უფრო ცუდია, ვერაფერს მივაღწევ. მაგრამ არც იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა. ახლა ჩემი ერთადერთი მოვალეობა თამაშის დახვეწა და ვარჯიშია, მეც მხოლოდ ამაზე ვფიქრობ.*

**ირაკლი გურტაია**

*17 ივლისს ნბა-ში 2002 წლის სეზონთაშორისი პერიოდის თავისუფალ აგენტთა ბაზარი გაიხსნა. მოთამაშეებს და კლუბებს ერთმანეთთან კონტრაქტით დაკავშირების ნება ებოძათ და საკლუბო ოფისებიც ახმაურდა.*

*წლევანდელი ბაზარი „ხარისხიანი საქონლის" ერთგვარ სიმცირეს განიცდის, როგორც ევროპულ ფეხბურთში და ნბა-ს მეზობელ ნჰლ-ში, აქაც ისეთი არავინაა, ვისთვისაც კლუბები ტაციაობას გამართავდნენ, თუმც მრავალმილიონიანი გარიგებები მაინც იჩარხება, არცთუ ხელწამოსაკრავი მოთამაშეები კლუბებს იცვლიან, ხოლო იქაური პრესა მათ მიგრაციას ჩვეული თავგამოდებით ეხმაურება.*



მამაცო ჩონსი ბილაფსს დეტროიტში წლის ქალიშვილი კიარა ჩაჰყვა

# რატომ დასჭირდა ამერიკას ევრორემონტი?

## ნბა ყმაწვილ ევროპელებთან ერთად 31 წლის გრეგორ ფუჩკასაც ისრუტავს

**35 მილიონი** (რა თქმა უნდა, დოლარი) დასჭირდა „დეტროიტ პისტონზს", რათა მინესოტელი თავისუფალი აგენტი ჩონსი ბილაფსი ექვსი წლით თავისთან დაება. 191-სანტიმეტრიანი და 25 წლის გამთამაშებელი 17 ივლისის ყველაზე ხმაურიანი გარიგების ობიექტია. „დეტროიტს" ექსმინესოტელი საძირითადხუთეულოდ შეუგულებია და „დგუშების" მწვრთნელ რიკ კარლაილი სწორედ მას დაავალებს გუნდის შეტევათა ორგანიზებას. ბილაფსი მთავარ ხუთეულში შეცვლის ჩაკი ეტკინსს, თუმცა ბილაფსის გადმოყვანა არამც და არამც არ ნიშნავს ეტკინსის სხვაგან გაშვებასო, უთქვამს „დეტროიტს" პრეზიდენტ ჯო დუმარსს. „ეტკინსი პირველი გამთამაშებელი აღარ იქნება, მაგრამ ის მაქსიმალურად ხშირად შეცვლის ჩონსის. შესაძლოა, ჩვენ ორივე ერთდროულადაც ვათამაშოთ" — ამბობს დუმარსი.

მან აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ ბილაფსით მოძლიერებული „დგუშები" ბოლო პლეი ოფის შედეგს გააუმჯობესებენ და ამჯერად მეორე წრესაც გაივლიან.

„დეტროიტში" გადმობარგებით გამოწვეულ კმაყოფილებას არც ჩონსი მალავს. აქ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერად იქცევა და გაცილებით ფართოდ გაშლის ფრთებს, ვიდრე „მინესოტაში". ძველ გუნდში ის ორჯერ ნაოლსტარევი ჩაუქი ტერელ ბრენდონის შემცვლელი იყო და არც მალავს, რომ ვილაცის, თუნდ შესანიშნავი ბიჭის ჩრდილში ჯდომა სულაც არ ხიბლავდა. ბილაფსი ბოლო მინესოტურ სეზონში ყოველ მატჩში საშუალოდ 12,5 ქულას და 5,5 პასს იხვეჭდა. დეტროიტელები იმედოვნებენ, რომ ახალ გუნდში მისი შედეგიანობა 16-17 ქულამდე აიწევს და ვინძლო გუნდის მეორე ბომბარდირიც გახდეს ჯერი სტეკჰაუზის შემდეგ.

„ორლანდო მეჯიქს" ჰყავს კარგი გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი, თუმც მისივე ამპლუის ბიჭის მოძებნა მაინც მოუხდა. არმსტრონგის თადარიგოსანი ტროი ჰადსონი „ორლანდოს" დატოვებას აპირებს ეგებ იმის გამოც, რომ მზიურქალაქ ორლანდოში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს. ერთი კვირა ძლივს იქნება გასული, რაც მის საცხოვრისს ორჯერ მიყოლებით დაეცნენ მძარცველები და ჰადსონის სახლის წინ გამვლელი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირეს.

ბოლო სეზონში მატჩში საშუალოდ 11 ქულაზე მეტის მომხვეჭ ჰადსონს ხეირიანი გუნდის მოძებნა არ გაუჭირდება. „ორლანდომ" იოლად მოძებნა მისი ადგილის დამკავებელი, აიყვანა 186-სანტიმეტრიანი ექსატლანტელი ჟაკ ვონი. ვონი ჰადსონივით ჩაუქი მეტული ვერაა, თუმც ამბობენ, მასზე გონიერიაო და პასის ხელოვნებასაც წინამორბედზე სრულყოფილად ფლობსო.

შედარებით ტანმოკლე ხალხია გამთამაშებლები და თუ იმ ლოგიკას მივყვებით, რომ კალათბურთი მაღლების თამაშია, გამოვა, დაბლები ნაკლებად უნდა ფასობდნენ. ამ ლოგიკის წამყოლი შორს ვერ წასულა. ყველა ამბიციურ გუნდს სჭირდება კარგი გამთამაშებელი. ისიც ვთქვათ, რომ ნბა-ში ამ პოზიციაზე ჯერჯერობით მყარად ბატონობენ ადგილობრივი, შავკანა ჯეელები, მაგრამ აი, სხვა ამპლუის ბაზარზე კი ზანგები პოზიციებს ხშირად მზარდ ევროპულ ლეგიონს უთმობენ.

მორიგი ვარსკვლავი მოსწყდა ევროპას და ატლანტიკის საპირისპირო ნაპირზე გადაფრინდა. მოსკოვის ცსკას ხორვატი ლიდერი გორდონ გირიჩეკი სხვა ევროპელთაგან გატკეპნილ ნბა-ს გზას დაადგა, რომელმაც ის „მემფის გრიზლიზში" მიიყვანა.

გირიჩეკს 1999 წლის დრაფტში მიუღია მონაწილეობა და მაშინ „დალასს" აურჩევია, თუმც ნბა-სთვის მოუმზადებლად ჩათვალა და ხორვატი მსროლელიც იძულებით მობრუნდა ევროპაში. ახლა გაცვლების შედეგად მასზე უფლებას „მემფისი" ფლობს და ამ კლუბის ხელმძღვანელმა ჯერი ვესტმაც ამით ისარგებლა, რამდენიმე თვით, ჯერჯერობით გასასინჯად აიყვანა გირიჩეკი.

„გორდონში დიდი პოტენციალი შეინიშნება. ის შესანიშნავი მსროლელია და მთლიანობაში კარგი კალათბურთელი" — ამბობს ვესტი.

„მემფისი" ხორვატს იახლებს საზაფხულო ლიგაზე და იქ საბოლოოდ გადაწყვეტს, ჩაწეროს თუ არა ოკეანგაღმელი ბედისმაძიებელი რეგულარული სეზონის შემადგენლობაში.

კიდევ ერთი ევროპელი, ვისაც ნბა-ში ბურთაობა და იქაური მილიონების ჩაჯიბვა მოუნდა, იტალიური „სკიპერის" 215-სანტიმეტრიანი ლიდერი გრეგორ ფუჩკაა. ამერიკელები, როგორც წესი, ყმაწვილ ევროპელებს უფრო ეტანებიან, ფუჩკა კი 31 წლისაა, მაგრამ შესაძლოა, მან მაინც ითამაშოს „ინდიანა პეისერზში". მისი აგენტი ლუჩანო კაპიჩონი ამბობს: „დიახ, ამერიკელებს პერსპექტიული ახალგაზრდები სურთ, გრეგორი კი ასაკოვანია, მაგრამ მისი უპირატესობა ასაკშია. ის უკვე ვარსკვლავია და ამერიკელებს არ ექნებათ იმის საფრთხე, რომ ის ვერ გაამართლებს. გარწმუნებთ, ფუჩკა ყოველმხრივ მზადაა ნბა-სთვის. თან გამოცდილების გარდა ის ფიზიკურადაც კარგად გამოიყურება. ასე რომ, ასაკი ხელს არ შეუშლის, ნბა-ში იგივეს მიაღწიოს, რასაც, ვთქვათ, პაუ გასოლმა. ვფიქრობ, ფუჩკას გასოლზე წინ წასვლაც შეუძლია".

იტალიელი აგენტის სიტყვები საკუთარი საქონლის ქებას ჰგავს. რეალურად კი ფუჩკამ უკვე უწია სპორტული კარიერის პიკს და ახლა დაღმა მოდის. თან ვინ იცის, რა დღე ელის გამხდარ და წოწოლა იტალიელს ჯანიან ზანგებთან ფარქვეშ ჭიდილში.

ისე, შესაძლოა, „ინდიანა" მაინც დათანხმდეს ფუჩკას აყვანას. სადღეისოდ ნბა-ში ევროპელ კალათბურთელებს როგორც არასდროს, ისე სცემენ პატივს.

**ირაკლი ფირუაშვილი**




გრეგორ ფუჩკას „ამ სიბერეში" გულმა ნბა-სკენ გაუწია

## ტურ დე ფრანსი 2002

# გადააგდე ბოთლი, პატრიკ!

**რაც** უფრო სცილდება ტური სასტარტო ქალაქს და რაც უფრო უახლოვდება პარიზს, მით უფრო იზრდება სხვაობა ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის. და თუ დღეს განსხვავება დროგში „სულ რაღაც" 40 წუთია, ხვალიდან ანგარიში საათობით წავა. მიზეზი ტრადიციულია. მეთერთმეტე ეტაპისთვის პელოტონს, მართალია, მთელი გზის ნახევარზე მეტი აქვს გავლილი, მაგრამ ასე შორს პარიზიდან ჯერ არასდროს ყოფილა — ველოსიპედისტებს გასავლელი დარჩათ ყველაზე რთული ეტაპები. ეს სირთულე დაახლოებით 20 ათ-თხუთმეტკილომეტრიანი სიგრძის აღმართებში გამოიხატება. 3300 კილომეტრის ნახევარი მართლაც უკან მოიტოვა პელოტონმა, მაგრამ არც ერთი უღელტეხილი, არც ერთი აღმართის მიმსგავსებულიც კი არ შეხვედრია. ვარაუდობენ, რომ დღეიდან განსაკუთრებით გახშირდება სპრინტერთა ცვენა. თუ აქამდე ველოსიპედისტთა ამქარს სულ 7 კაცი გამოაკლდა, ხვალიდან გაიშვიათებული ჟანგბადი და თოვლიანი უღელტეხილები შეუბრალებლად, დასტა-დასტად ჩამოიცილებს ძალაგამოცლილ და სუსტი ნებისყოფის ხალხს. და რადგან დრო ლიდერთა დაახლოებით ათეულსა და დანარჩენებს შორის სულ უფრო შთამბეჭდავ მნიშვნელობებს შეიძენს, უფრო ლმობიერი გახდება პელოტონი, სულ უფრო ხშირად და იოლად დართავს ნებას შეტევის მსურველებს — აბა, რა მნიშვნელობა აქვს ლონეშენარჩუნებული ჯგუფისთვის, რამდენიმე წუთით წინ იკუნტრუშებს თუ უკან ჩამორჩება სპორტსმენი, რომელიც საათზე მეტს აგებს ლიდერებთან.

დღეიდანვე გახურდება ბრძოლა არა მარტო ლიდერებს, იმათ შორისაც, ვისაც გულის ფიცარზე მთის მეფის მართლაცდა ლამაზი სახელი აქვს ამოჭრილი. ძნელი სათქმელია, შერჩა თუ არა საამისო ძალა, მაგრამ ერთი იმათგანი აუცილებლად იქნება ლორან ჟალაბერი. არც ამ ჯილდოს ხუთგზის მფლობელი, საფრანგეთში ყველაზე პოპულარული (განსაკუთრებით ქალებში) ველომრბოლი რიშარ ვირანკი იჯდება გულხელდაკრეფილი და არც კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო. თუმცა, ახლა მას, ინდივიდუალური რბოლის მოგების შემდეგ, მწვრთნელებმა შესაძლოა უფრო რთული მიზანი დაუსახონ.

ცხადია, ყველაზე საინტერესო მაინც არმსტრონგ-ბელოკის დუელი იქნება. თუ ამ დუეტს იგორ გონსალეს გალდეანო, ოსკარ სევილია, ფრანსისკო მანსებო და სხვებიც შეუერთდებიან, ველოსპორტის, განსაკუთრებით კი მრავალდღიანების გურმანები მხოლოდ მადლობელი დარჩებიან.

მანამდე კი, სანამ პელოტონი პირინეების ჭიშკარს — ქალაქ პოს მიადგება, ორიოდე სიტყვა ამ ერთ-ერთ უკანასკნელ ბაკე-ეტაპზეც ვთქვათ. საველოსიპედო ენაზე ამგვარ უაღმართდაღმართო ეტაპებს მაგიდას ეძახიან. რაც შეეხება მაგიდას, ცუდ ასოციაციებს ნამდვილად არ იწვევს, მაგრამ დიდი დოზით (ცხადია, ეტაპებს ვგულისხმობ), მკითხველიც დამეთანხმება, ცოტა არ იყოს, მოსაწყენია.

თუ უკვე შევთანხმდით ამ ტერმინზე, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველგვარი სუფრები და მაგიდები დამთავრდა ტურში.

X ეტაპის ბოლო პუნქტამდე, ქალაქ პომდე 90 კილომეტრი იყო დარჩენილი, როცა შეტევა წამოიწყო სპორტსმენთა მოზრდილმა ჯგუფმა. დაახლოებით 15 კაცი ცოტაოდენი გამორჩევა-გამორჩევის შემდეგ საქმეს შეუდგა. პელოტონს ყურიც არ შეუბერტყავს. ამ უყურადღებობით გათამამებული ლტოლვილები უფრო გულიანად ამუშავდნენ და მალე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მთელი ეს გუნდი, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი მაინც, პირველი მიაღწევდა ფინიშს. ერთი სიტყვით, მეათე ეტაპის გამარჯვებულის გამოვლენა ამ ჯგუფის შიდა საქმედ იქცა. პომდე 20 კილომეტრი იყო დარჩენილი, როცა ჯგუფი დანაწევრდა — ილაჯგამოცლილები ჩამორჩნენ, შედარებით კარგად შენახულებმა კი კიდევ ერთი იერიში წამოიწყეს. ამ მცირე ჯგუფში 4 კაცი შედიოდა — ლუდო დირქსენსი, ჟერომ პინო, სტიუარტ ო'გრეიდი და პატრიკ ჰალგანი. იმ შემთხვევაში, თუ ეს ოთხეული უდანაკარგოდ მიაღწევდა ფინიშამდე, ნათელი იყო, იქ რაც მოხდებოდა — სპრინტერულ საქმეებში ოგრეიდი მთელი თავით მაღლა დგას დანარჩენ სამზე. ალბათ, ამიტომ, ალბათ კი არა, ნამდვილად ამ უპერსპექტივო და უსახელო მომავლის გამო, კიდევ ერთი შეტევის წამოწყება სცადა ფრანგმა პატრიკ ჰალგანმა. გაქცევის წინ ბოთლში დარჩენილი სითხე კაცურად გამოსცალა პატრიკმა და ისე მოისროლა, თითქოს ეს-ეს არის უჩურჩულა ვიღაცამ, გადააგდე ბოთლიო. ფრანგის უკან ზღვა არ გაჩნდა, მაგრამ ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. ცოტა არ იყოს, კომიკური იყო ფინიშთან მეორის, ჟერომ პინოს საქციელი. 21 წლის ფრანგი ხან ველოსიპედს ურტყამდა ხელებს, ხანაც თავში იცემდა — ეს რა ვქენი, როგორ გამომეპარა შეტევაო. ისე, კაცმა რომ თქვას, ადრესატი ზუსტი გამოდგა: ხომ გაგიგონიათ, ვინ მიყო და საკუთარმა თავმაო.

**ირაკლი ბერიაშვილი**



REUTERS ფოტო

პატრიკ ჰალგანი ფინიშთან კოცნად დაიღვარა

### ტექნიკური შედეგები

**X ეტაპი. ბაზა – პო. 147 კმ**

| | |
|---|---|
| 1. პატრიკ ჰალგანი („ჟან დელატური", საფრანგეთი) | 3 სთ 00 წთ 15 წმ |
| 2. ჟერომ პინო („ბონჟური", საფრანგეთი) | +27 წმ |
| 3. სტიუარტ ოგრეიდი („კრედიტ აგრიკოლა", ავსტრალია) | +33 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. იგორ გონსალეს გალდეანო („ონსე", ესპანეთი) | 36 სთ 25 წთ 35 წმ |
| 2. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | +26 წმ |
| 3. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +1 წთ 23 წმ |

**საუკეთესო სპრინტერი**

| | |
|---|---|
| 1. რობი მაკივენი („ლოტო", ავსტრალია) | 210 ქულა |
| 2. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | 209 |
| 3. სტიუარტ ოგრეიდი („კრედიტ აგრიკოლა", ავსტრალია) | 157 |

# ტურმა დიდი ცოდვა დაიდო

## შვიდი წლის სიცოცხლე წამიერ უყურადღებობას ემსხვერპლა

**ტურ დე ფრანსის** მეათე ეტაპმა ბაზადან პომდე 147 კილომეტრთან ერთად შვიდი წლის ბიჭუნას — მელვილ პომპელის სიცოცხლეც წაიღო. მელვილს სარეკლამო ქარავნის ერთ-ერთმა მანქანამ გადაუარა.

„ეს უბედური შემთხვევა იყო — შედეგი ბრმა ბედისწერისა და უპატიებელი გაუფრთხილებლობისა" — განაცხადა გუშინ ტურის დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა.

მისი თქმით, პოლიციამ გულდასმით შეისწავლა საქმე და მძღოლის უდანაშაულობა აღიარა — ის არც ნასვამი ყოფილა და არც სიჩქარის ლიმიტი დაურღვევია.

„ბავშვი უმალვე გადააფრინეს, მაგრამ, საუბედუროდ, ის ვერტმფრენშივე გარდაიცვალა".

ტრაგედია ბაზადან 26 კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ რეტგონში მოხდა. ბიჭუნა გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადარბოდა, რათა სოფელში შესული რბოლისთვის ბებიასთან ერთად ეყურებინა...

„საშინელებაა, როცა ასეთი პოპულარული, საერთო-სახალხო მოვლენა ტრაგედიით სრულდება" — თქვა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან-პიერ რაფარენმა.

„ველოსპორტი მილიონობით მაყურებელს იზიდავს, ამიტომ ასეთი ტრაგედიები გვაიძულებს, უსაფრთხოების უფრო ქმედით ზომებს მივმართოთ".

ხოლო საფრანგეთის სპორტის მინისტრის მიერ გუშინვე გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ:

„აუცილებელია მეტი სიფრთხილე და ყურადღება, რათა სპორტული ზეიმით გამოწვეული სიხარული ასეთმა საშინელმა ამბებმა არ დაჩრდილოს".

„ამ ტრაგედიამ ტურის ყველა ადგილზე მაცქერალს უნდა მოაგონოს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ გზები ძალზედ სახიფათო ადგილია და რომ დაუდევრობა არავის გვეპატიება"...

მოსაგონარი კი, ვაგლახ, არც ისე ცოტაა.

შარშან, პონტარლიე-კოლმარის ეტაპზე ერთი საჭემიშვებული მძღოლი პირდაპირ ქომაგთა ჯგუფში შევარდა და ოთხი ადამიანი დაასახიჩრა, ორი წლის წინ კი ავინიონიდან დრაგინიანამდე გასარბოლ ეტაპზე ქარავნისავე მანქანამ 12 წლის ბიჭი გაიტანა.

მაშინ იგონებდნენ, რომ მაყურებელი ტურზე 1988 წლის მერე აღარ დაღუპულიყო, ანუ მას შემდეგ, რაც რომ ლიმოეს მახლობლად მანქანამ ასევე პატარა ბავშვის სიცოცხლე შეიწირა.

ავტოავარიასვე ემსხვერპლა იტალიელი მეტურე ფაბიო კაზარტელი, რომელიც პორტედასპეს შემაღლებაზე დაიღუპა...

გუშინდელი ეტაპის წინ მრბოლებმაც და მათმა მიმყოლებმაც წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პატარა მელვილის ხსოვნას.

**ლევან ძელაურაძე**

# გადაფრინდა უმაგში და უკან

## კლაუდიამ მერსედესს დაასხა



ამ 21 წლის უსახელო რუმინელთან, ვიქტორ ჰანესკუსთან წააგო მარსელო რიოსმა

**„მერსედესის" თასი**
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 500 ათასი $

**პირველი წრე**

**ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 3:6, 6:0, 6:2; იუნეს ელ აინაუი (4, მაროკო) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 1:6, 6:4, 6:4; ტომი რობრედო (8, ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:2; ალექსანდერ პოპი (გერმანია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:0, 6:2**

ვერ იქნა და ვერ დაოკდა კლაუდია — შტუტგარტის თავს დამხობილი ციკლონი, რომელმაც ორშაბათიდან რომ დაასხა, დღემდე არ გაჩერებულა. ამიტომაცაა, იქ ჯერაც საპირველწრეო შეხვედრები რომ არ დასრულებულა.

იმ დღესაც მხოლოდ ოთხი მატჩის მომთავრება მოხერხდა.

ერთ ამათგანში ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ირჟი ნოვაკი ესპანელ რამირეს-იდალგოს ედავებოდა და თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ბითურად წაგებული სეტის მერე ორის დამაჯერებლად უკუგება მოუხდა.

ასეთივე სცენარით წარიმართა იუნეს ელ აინაუისა (4) და დავიდ სანჩესის პაექრობა. წვიმის გამო მატჩი რამდენჯერმე შეწყდა და არც მეჩოგნეებს შეერგო და არც მაყურებლებს.

დანარჩენ ორ შეხვედრაში 20 წლის ტომი რობრედომ ჩეხ ბოგდან ულირახს აჯობა, ტურნირზე საშვით მოხვედრილმა ალექსანდერ პოპმა კი ჩეხსავე იან ჰერნიხს ყველაფერი 47 წუთში გაურკვია.

**ENERGIS OPEN**
ამსტერდამი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**მეორე წრე**

**ალბერტ კოსტა (1, ესპანეთი) — მარტინი ვერკერკი (ჰოლანდია) 3:6, 6:3, 6:4; გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 3:6, 6:1, 6:1; იარკო ნიემინენი (5, ფინეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:5, 6:2; ანდრე სა (ბრაზილია) — კრისტიან პლესი (დანია) 6:1, 6:4**

პირველი წრის დარად როლან გაროსის ჩემპიონმა ალბერტ კოსტამ უსახელო მეტოქის ძლევას მეორეშიც სამი სეტი მოანდომა. ამის მიზეზად ესპანელი ნამატჩევს სწორედ მეტოქის უსახელობას მოიხმობდა — აქამდე, აზრზე არ ვიყავი, რას და როგორ თამაშობდა და მის წინააღმდეგ რა ტაქტიკისთვის მიმემართაო.

მომდევნო წრეში კოსტა ამომავალ ბრაზილიელ ვარსკვლავ ანდრე სას შეხვდება, ვინაც თავის მხრივ დანიელ კრისტიან პლესს მოერია.

სამსეტიანივე გამოდგა გასტონ გაუდიოსა და 19 წლის ხოსე აკასუსოს შიდაარგენტინული განდაგანაც წინა კვირას გშტაადურ ფინალში ალექს კორეჩასთან დამარცხებულმა გაუდიომ უმცროს თვისტომს პირველი სეტი დაუთმო, მერე კი სულ ბლღვირი გაადინა.

კოსტას თიხნარზე წლეულს 30 მატჩი გაუმართავს და აქედან 24 მოუგია, გაუდიოს საამსეზონო სათიხნარო მონაგარი კი 4 მარცხის წილ 25 მოგება გახლავთ.

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**პირველი წრე**

**ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) — მარსელო რიოსი (3, ჩილე) 6:0, 6:4; ლუის ორნა (პერუ) — ალბერტ მონტანესი (7, ესპანეთი) 7:5, 6:2; ნიკოლას მასუ (ჩილე) — იან ვაჩეკი (8, ჩეხეთი) 6:0, 6:2; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 2:6, 6:3, 4:2 (სპადეამ შეწყვიტა)**

განთესილთა გაბუნძურების დღე იყო.

თუკი უმაგელ ქომაგს იან ვაჩეკისა (8) და ალბერტ მონტანესის (7) გავარდნა ნამეტურ არ სწყენია, ჩილელი შამანმეჩოგნის, მარსელო რიოსის (3) რუმინელი ვიქტორ ჰანესკუსგან დაჯაბნამ დასტურ ყველას გული დასწყვიტა.

სამი თვის განმავლობაში მუხლის ტრავმის გამო მეუქმე რიოსი კორტს მხოლოდ გასულ უქმეებზე დაუბრუნდა, როცა ჩილეს მექსიკასთან სადევისო შეხლა მოაგებინა.

ნადევისთასევს კი ეგრევე ხორვატიისკენ გადაფრინდა, სადაც ორი წლის წინ ჩემპიონიც გამხდარა და დამსახურებული პოპულარობითაც სარგებლობს.

ხორვატებს იმედი ჰქონდათ, მისი ჯადოთამაშით ფინალამდე მაინც დატკბებოდნენ.

ვერ დატკბნენ.

21 წლის რუმინელს რიოსი ძალიან იოლად დანებდა.

„აბა, რას ელოდით — მე ხომ სამი თვეა, არ მითამაშია — იმართლებოდა მერე — პირველ წრეში სირბილიც მიჭირდა, ერთ მომენტში ვიფიქრე, საერთოდაც ხომ არ შევეშვა-მეთქი".

რაც შეეხება 34-საათიან ფრენას, წაგების მიზეზად მისი დასახელება რიოსს აზრადაც არ მოსვლია — ეგ რა შუაშია, მხოლოდ იმიტომ წავაგე, რომ ცუდად ვითამაშეო, დასძინდა.

ხოლო ჰანესკუს ამბავს არ იკითხავთ?

ეგ ის ბიჭია, ვინაც თავისი პირველი სა-ATP-ო მატჩი წინა კვირაში შვედურ ბასტადში გამართა და უმალ ჩვენიანი ირაკლი ლაბაძის მიერ დაიჩოგნა.

ახლა კი მაგრად გაუმართლა — დაფეხვილ რიოსს გადაყრილმა თავის „სატური" კარიერის მეორე შეხვედრაშივე სათაურებში აღზევების უფლება მოიმკა.

ჰო, დღეს მართლაც დიდი გამარჯვება მერგოო, ხარობდა ნამატჩევს. მით უფრო, რომ 21 წლისა სწორედ წინა კვირას გასრულებულიყო და საამბოდ საკუთარი თავისთვის რამე განსაკუთრებულის ჩუქება სურდა.

**ლევან ძელაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოლინას მეორე მხარე

პიერლუიჯი კოლინას საზოგადოდ მოწიხლავე ფეხბურთელებისთვის თვალების ბრიალი უფრო ეხერხება, ვიდრე პოდიუმზე ნარნარი, მაგრამ პოპულარული კაცია და მოდის ალლუმზეც გადააწყდება კაცი. ნახეთ, რა კმაყოფილებანარევი მორცხვობით წარადგენს ლაურა ბიაჯოტის კოლექციის მშვენება კოსტუმს!



# მახვში კედელზე

შავკოსტუმიანი კაცი, სახელგვარად კარმელო ესპელეტა მოტოსპორტის ერთ-ერთი მახვშია და სულ ახლახან სახალხო ჩინეთს მოტოტურის გრან პრი გაუშანსა. აბა, ასეთ სტუმარს როგორ არ აჩვენებდნენ მსოფლიოს ყველაზე გრძელ კედელს?

# ეკვატორს გაღმა თოვლია

ახალი ზელანდია არც ძალიან დიდრონმთებიანი კუნძულქვეყანაა და თან ახლა ხომ ივლისია, ამიტომ დაუკვირვებელი კაცი ამ ფოტოზე ვერ ამოიცნობს კივისა და რაგბის კუთხე-კუნჭულს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ზელანდია სამხრეთ ნახევარსფეროშია, იქაურთათვის კი ივლისი შუა ზამთარია, ჩანს, მთებიც ძალიან არ მოიდაბლებენ. ასე რომ, იქაურ თოვლსა და თხილამურს ნუ გავიკვირვებთ. ფეხქვეშ თხილამურჩაფენილი ჯეელი კი მავანი ჯოფ ჰანტი გახლავთ, მზეს დაასწრო და დედამნათობის ამობრწყინებას მთის დამრეც კალთებზე დაცურებული ეგებება.






# ყვანჯობის მსგეფსი

სააგენტო „როიტერი“ ჩვეული ოპერატიულობით და დახვეწილი ლექსიკით იუწყება, რომ შოტლანდიურ მწვანეთში, მიურფილდში დაიწყო ბრიტანეთის 121-ე ღია პირველობა და ამ ცნობისთვის დამაჯერებლობის მისანიჭებლად წინასწარი ვარჯიშის ფოტოებსაც აგზავნის. ბრიტანეთის ღია პირველობა რამე ჩელენჯტურნირი არ გეგონოთ, იქ ყვანჯს მთელი მონდომებით მოიქნევენ გოლფის ზევარსკვლავები: მუქი იანკი ტაიგერ ვუდსი და ღია სქოთი კოლინ მონტგომერი. პირიდან სივარაამოშვერილი ძია არც ვუდსია და არც მონტგომერი, ესპანელი მიგელ ანხელ ხიმენესია. ისიც მონაწილეა. მეორე ფოტოზე კი ის მინდორი მზადდება, სადაც ყვანჯი გაიქნევა და ბევრი პაწია ბურთი გაგორდება.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, იამზე გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge